საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით

ერთობა

კვირა, 31 ოქტომბერი 1920 წ.

ფასი 10 მანეთი

გაზეთის ღირს თვეში 250 მანეთი. ცალკე ნომერი ღირს 10 მანეთი განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 20 მანეთი, მეოთხე გვერდზე 10 მანეთი. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის (15 × 2) 400 მანეთი. ნისიად განცხადება არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორა იმყოფება ერთობის ქ. № 4. შესახვევი რუსთაველის ქუჩის № 18-თან კანტორის ტელეფონი 16—62 რედაქციის 14—76

№ 248 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 248

საქართველოს სოც.-დემ. მუშათა პარტიის

ცენტრალური კომიტეტი

მოთავსებულია ერთობის ქ. № 4. მესამე სართული.
შესახვევი რუსთაველის ქუჩიდან № 18, ტელ. 11—79

ღრმათ დამწუხრებულნი: დედა მაგდანი ზაალის ასული, ძმა ალექსანდრე ზაქარიას ძე, მეუღლე თამარა ანდრიას ასული და შვილები: ნინო და მარიამი გიორგის ასულნი გაბრიელაშვილები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ რომ კვირას 31 ოქტომბერს, შუადღის 12 საათზე, გადახდილი იქნება პანაშვიდი, ორმოცი დღის შესრულების გამო მათი საყვარელი

გიორგი ზაქარიას ძე გაბრიელაშვილის

სულის მოსახსენებლად, წმინდა ნინოს ახალ სასაფლაოზე.

მწუხარებაში მყოფნი მეუღლე ივდითი, შვილები: ვლოდია და შუშუტი, რძალი ნინა, სიძე გიგო ბეკოფოვი და შვილის შვილები: ილიკო, ლიდა, ალიოშა და კოკა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს მათთვის დაუვიწყარის

სოფრომ იესესძე ურუშაძის

გარდაცვალებას. დასაფლავება მოხდება დღეს, კვირას 31 ოქტომბრისთვის ნაშუადღევის 12 საათზე, ლიხაურის ღვთისმშობლის ეკლესიის გალავანში. (3503 1—1)

ღრმა მწუხარებაში მყოფნი ძმები: გიორგი, ალექსანდრე და რომანი კონსტანტინეს ძეები, დები: ნინო და პელა კონსტანტინეს ასულნი, რძლები: პრასკოვია გერასიმეს ასული, ანნა ივანეს ასული, სიძეები: იოსები მიხეილის ძე, ტარასი ილარიონის ძე კობიაშვილი აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს დაუვიწყარი და ძვირფას

(მიშას) მიხეილი კორინთელის

გარდაცვალებას ქ. თფილისში 28 ოქტომბერს, რკინის გზის საავადმყოფოში, დაკრძალვა ს. საკორინთლოში. გამოსვენება საავადმყოფოდან 30 ოქტომბერს, 3 საათზე. (3509 1—1)

1 ნოემბერს, საღამოს 6 ს. ცენტ. კომიტეტის ბინაში დანიშნულია

საკანტროლო კომისიის სხდომა

წევრების დასწრება აუცილებელია. კომისიის წევრებს ევალებათ „მოხსენებების“ წარმოდგენა.

პრეზიდიუმი.
(2—2)

ფოთის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს რა, რომ ფოთში აღარ არის

წიგნების ამკინძავის

(პერეპლიოტჩიკის) სახელოსნო, მოუწოდებს მსურველთ გახსნან აქ ასეთი სახელოსნოები. შეიძლება რამოდენიმე დახმარება ავანსის სახით. (კუპ. 951—3—3)

სახელმწიფო დრამის თეატრი

(ყოფილი არტისტიული—რუსთაველის პრ. № 21, ტელ. 8—07)

ქართული დრამის სეზონი 1920—1921 წ.

დღეს, ოქტომბრის 31-ს

„ოიდიპოს მეფე“

სოფოკლესი.

ხუთშაბათს, ნოემბრის 2-ს

„დარისპანის გასაჭირი“ და **„ირინეს ბედნიერება“**

დ. კლდიაშვილისა.

ბილეთები კასაში. დასაწყისი საღ. 8½ საათზე.
(ნ. 1—1)

ერობათა კავშირის ნავთლუღის საფურაჟო საწყობში

(რკინის გზის გვერდზე სასაკლაოს პირდაპირ)

კვირას, 31 ოქტომბერს, 2 საათზე, დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

სადაც გაიყიდება ბზე: დაპრესილი 390 კონა, წონით 878 ფუთი და დაუპრესავი — 070 ფუთი.

(3502 1—1) ნავთლუღის ფურაჟის საწყობის გამგე ქ. დუნდუა.

საქართველოს კოოპერატიულ ბანკის მეორე გამოცემის აქციებზე ხელის მოწერა

თანახმად ბანკის დამფუძნებელ კრების (15 მარტი 1920 წ.) დადგენილებისა და ფინანსთა სამინისტროს სათანადო ნებართვისა საქართველოს კოოპერატიული ბანკი ადიდებს ძირითად თანხას 5.000.000 მანეთიდან — 15.000.000 მანეთამდე; ამ ჟამათ გამოცემული იქნება 10.000 აქცია, თითო 1.000 მანეთის ნომინალური ღირებულებისა, შემდეგი პირობებით:

1. აქციებზე ხელის მოწერის უფლება აქვთ მხოლოდ კოოპერატიულ დაწესებულებებს (მომხმარებელ, საწარმოო, სასოფლო-სამეურნეო და საკრედიტო კოოპერატივების და მათ კავშირებს).
2. გამოსაცემი ფასი ამ აქციებისა დანიშნულია 1.050 მანეთი თითო აქციაზე, რომელი თანხაც შეიძლება გადახდილი იქნას ნაწილ ნაწილადაც: 30 % ნომინალურ ღირებულებისა—მიმდინარე წლის 1 ოქტომბრამდე; 30 % ნომინალურ ღირებულებისა—მიმდინარე წლის 1 ნოემბრამდე, ხოლო დანარჩენი 40 % ამავე წლის პირველ დეკემბრამდე.
3. აქციების გამოსაცემ ფასიდან 1.000 მანეთი ჩაირიცხება ძირითად თანხაში და ორმოცდაათი მანეთიც საორგანიზაციო ხარჯების ფონდში.
4. აქციებზე ხელის მოწერა შეიძლება სარაიონო კოოპერატივთა კავშირებშიდაც აქციათა ღირებულების დაწესებულ ვადებში წარდგენით.
5. ის დაწესებულებანი, რომლებიც არ შეასრულებენ მე 2-ე მუხლში აღნიშნულ პირობებს აქციათა ღირებულების განსაზღვრულ ვადაზე შემოტანის შესახებ, ჰკარგავენ უფლებას მეორე გამოცემის აქციათა შეძენისას.

(ნ. 10—10) საქართველოს კოოპერატიული ბანკი.

ქალთა საავადმყოფო

ექ. მ. გ.

მიკირტჩიანცისა

მშობიარეთა მიღება ყოველ დროს დღისით და ღამით. ავადმყოფების მიღება დილის 10—12 საათ. ბებუთოვის ქ. № 58.
(3459 3—1)

გაფიცვები ინგლისში

ევროპის სახელმწიფოებიდან მოსული უკანასკნელი ცნობები იმის უტყუარი მომასწავებელია, რომ კაპიტალისტური ქვეყანა თავს ქერქში ველარ ეტევა, კაპიტალიზმის საფუძველზე წარმოშობილი კლასთა ბრძოლა დღითი-დღე მწვავდება, რომ მოწინააღმდეგე კლასების მორიგება უფრო და უფრო ძნელი ხდება. მეტადრე ინგლისის ამბებია დამაფიქრებელი და მრავალი აზრების აღმძვრელი. ინგლისი კაპიტალიზმის კლასიკური ქვეყანაა, სადაც სოფლის მოსახლეობა უმნიშვნელო მინიმუმამდის არის დაყვანილი და ქალაქის პროლეტარიატი ყველა მცხოვრებთა დიდს უმრავლესობას შეადგენს. მიუხედავათ ამისა კლასიური ბრძოლა ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის აქამდის სწორეთ ინგლისში იყო დაჩრდილული იმ კოლონიურ პოლიტიკის წყალობით, რომელსაც ოსტატურად აწარმოებდა ინგლისის ბურჟუაზია: კოლონიებიდან გამოწოვილს სიმდიდრის ერთს ნაწილს ინგლისის ბურჟუაზია პროლეტარიატსაც უნაწილებდა, მის კეთილდღეობას მაღალ საფეხურზე სწევდა და ამით ანელებდა მისს უკმაყოფილებას. უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ბევრი ნიშნებია იმის, რომ კოლონიების ყვლეფა უკვე მისულია იმ წერტილამდის, როდესაც მისი კიდევ მეტი გაძლიერება შეუძლებელი ხდება და როდესაც იქიდან გამოწოვილი სიმდიდრე აღარ კმარა ინგლისის პროლეტარიატის გაზრდილ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად და მის უკმაყოფილების ჩასახშობლად. დღეს ამ უკმაყოფილებამ უმაღლეს წერტილს მიაღწია. ის ოსტატური დათმობის პოლიტიკა, რომლითაც ასე ცნობილი იყო ინგლისის გაბატონებული კლასი და რომელსაც ასე ხელოვნურათ იყენებდა დღევანდელი პრემიერი ლლოიდ-ჯორჯი, დღეს ველარ სჭრის.

ინგლისის პროლეტარიატის მოთხოვნილებები, როგორც სჩანს, გადასცდენ იმ ხაზს, სადაც თავდება ინგლისის ბურჟუაზიის დათმობითი პოლიტიკის მაქსიმუმი. უკანასკნელი ცნობები იმის მომასწავებელია, რომ ამ ორ მოპირდაპირე კლასს შორის სულ უფრო და უფრო ძნელი ხდება მორიგება, რომ სულ მცირდება ის „საერთო ნიადაგი“, რომელსაც აქამდის პოულობდა ეს ორი კლასი.

უკანასკნელი გაფიცვა მოიცვა 1½ მილიონ მემაღარო მუშას და დღეს არა, ხვალ მასში შეიძლება მონაწილეობა მიიღოს ტრანსპორტის პროლეტარიატმაც. მოთხოვნები, რომლებიც წამოყენებული აქვთ მუშებს, სოციალისტური ხასიათისაა: გარდა მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესებისა, ხელფასის აწევის და საწარმოო მოგების წილის დადების საშუალებით, ინგლისის პროლეტარიატი მოითხოვს ნაციონალიზაციას წარმოების უდიდეს დარგებისას: ყველა მაღაროები და მიმოსვლის საშუალებანი უნდა კერძო მწარმოებლებს ჩამოერთოს და სახელმწიფოს საკუთრებათ უნდა გამოცხადდეს; მათი დამუშავება-ექსპლოატაცია უნდა მოეწყოს ისეთს წესზე, რომელიც უახლოვდება კოლექტივიზმის იდეალებს; პროლეტარიატის მოთხოვნა იმდენათ გადაჭრილი და შეურყეველია, რომ ლლოიდ-ჯორჯის კაბინეტი დიდს საგონებელში ყოფილა ჩავარდნილი. ინგლისის ატმოსფერა ამაფეთქებელი გაზებით არის გაჟღენთილი და დარწმუნებით ძნელია იმის თქმა, მოხდება ეს აფეთქება თუ ერთხელ კიდევ მოახერხებენ ჰაერის გასაწმენდ სარქველის პოვნას.

კომუნისტების პრესა ინგლისის პროლეტარიატის ბრძოლაში თავის იდეალების გამარჯვებას ხედავს. ჩვენ კი გვგონია, რომ ის ბურჟუაზიული კლასიური ბრძოლა, რომლის სარბიელადაც ინგლისია გადაქცეული, სწორედ უარყოფს მთელს ბოლშევიკურს თვალსაზრისს და აშკარად ხდის მთელს უხერხულობას იმ პოლიტიკისას, რომლის სათავეშიაც საბჭოთა რუსეთის მესვეურნიც დგანან. ამ პოლიტიკის თავი და ბოლო უმცირესობის დიქტატურაშია. ძნელი გლეხობის ქვეყანა, რომელშიაც პროლეტარიატი ომამდის 10—15 პროცენტს თუ შეადგენდა და კომუნისტური ექსპერიმენტების წყალობით დღეს ხუთჯერ და ათჯერ კიდევ შემცირდა, ასეთი ქვეყანა ვერ ჩაუდგება სათავეში ქვეყნის მოწყობას პროლეტარიატის იდეალების თანახმად. ამის ცდა იქნება საბედისწერო ნახტომი, რომელიც კისერს მოატეხინებს პროლეტარიატს და სოციალიზმის საქმეს დააქვეითებს. სულ სხვაა ინგლისი. პროლეტარიატი იქ ერის უმრავლესობას შეადგენს. მისი პოლიტიკური კლასიური შეგნება ბურჟუაზიულ კლასზე მაღლა თუ არა, დაბლა არ სდგას. იგი საუცხოვოთ არის დარაზმული: 6½ მილიონი პროლეტარი ერთი პოლიტიკური და სოციალური ხაზის მიმდევარია. საწარმოო წესების ცოდნით, გამოცდილებით, წარმოების გაძღოლის უნარით ინგლისის პროლეტარიატი ბურჟუაზიაზე მაღლა სდგას. მის ხელში გადასვლა წარმოებისა კი არ შეასუსტებს, ბევრათ უფრო გაზრდის წარმოების ნაყოფს და ქვეყნის კეთილდღეობას. იმიტომაც კი შეიძლება ლაპარაკი, რომ მომავალ საპარლამენტო არჩევნებში მუშათა პარტიას ერგება გამარჯვება. ამისთანა და მხოლოდ ამისთანა პირობებშია შესაძლებელი პროლეტარიატის დიქტატურის დღიურ წესრიგში დაყენება. მხოლოდ ამისთანა პირობებში იქნება ეს დიქტატურა მთელი ხალხის ხელმწიფების განმტკიცება და მის უმრავლესობას დიდი ძალა არ დასჭირდება მისი მყვლეფავი უმცირესობის ასალაგმავად.

ჩვენ გვგონია, რომ ევროპის კაპიტალიზმმა მოჭამა თავისი დრო. მაგრამ მასთან ბრძოლის დაწყება სწორეთ იმ ქვეყანაში, სადაც მისი „მესაფლავე“ კლასი სრულიად სუსტი და უმწეოა, და ამ ბრძოლის დაწყება იმ მეთოდებით, რომლებიც ხალხის კეთილდღეობის განადგურებას უფრო უდრის, ვიდრე მის ამაღლებას, ეს პროლეტარიატის გამარჯვების წამს უფრო აგვიანებს. პირიქით ეს ბრძოლა უნდა დაიწყოს სწორეთ იმ ქვეყანაში, სადაც პროლეტარიატი ძლიერია რიცხვითაც, შეგნებითაც, გამოცდილებითაც, და იმ მეთოდებით რომლის წყალობითაც ქვეყნის კეთილდღეობა ამაღლდება და არ დამდაბლდება.

ჩემი ფოსტა

1. „ნაციონალისტს“.

თქვენი გამოსვლა სამწერლო ასპარეზზე რაღაც დიდ გაუგებრობას უნდა მიეწეროს. ვინ ბრძანდებით, რომელ საზოგადოებრივ ძალას ეყრდნობით, რითი გაირჩევით სხვა ძალებისგან? ერთი თქვენი უკანასკნელთაგანი მოწინავეს ეტყობა ცდა ამ გაუგებრობის გასაფანტავათ. აქ ვხედავთ, ვითომ, პროგრამულ დებულებებს. აქ ვტყობილობთ, რომ თქვენ ერთი მხრივ იცავთ კერძო, სოფლურ საკუთრებას და მეორე მხრივ მიზნათ ისახავთ საქართველოს „ნაციონალურ მთლიანობას“.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ პროგრამას აკლია შინაგანი მთლიანობა. არ შეიძლება, რომ კერძო საკუთრებაზე აშენდეს ისეთი მთლიანი სახელმწიფო, როგორც თქვენ გაქვთ წარმოდგენილი. ისტორიას, ყოველ შემთხვევაში, არ ახსოვს ამისთანა მაგალითი. სადაც კერძო მესაკუთრეობაა, იქ უნდა იყოს ამ საკუთრების უქონლობაც. ამათი შერიგება ხერხდება მხოლოდ რომელიმე მხარის გაბატონებით და რომელიმეს დამორჩილებით. ერთი სიტყვით ამისთანა ნიადაგზე უფრო ეწყობა კლასობრივი სხვადასხვაობა, ვიდრე ნაციონალური მთლიანობა.

თქვენ გინდათ ისტორია გააბათილოთ და საქართველოს გადაადგმევინოთ ისეთი ნაბიჯი, როგორიც არ გადაუდგამს არც ერთ ქვეყანას. თქვენის აზრით, საქართველოს აქვს „დიდი სახელოვანი წარსული... თავისი ისტორიული ინდივიდუალობა და ცივილიზაციური თავისებურება“. და თქვენი იდეალი მუდამ იყო „ამ ისტორიული ინდივიდუალობის და ცივილიზაციური თავისებურების განახლება, კვლავყოფა“.

ეს თქვენი უცხო ლექსიკონი რომ ქართულ, ნამდვილ თავისებურ ენაზე გადმოვთარგმნოთ, მივიღებთ შემდეგს: თქვენ ფიქრობთ, როგორც გეტყობათ, რომ საქართველო არ წააგავს არც ერთ ქვეყანას, ის მიდის თავისი გზით, ყოველთვის უნდა ინახავდეს თავის საკუთარ სახიერებას.

უნდა მოგახსენოთ, რომ ამ თქვენ აზროვნობას საშინლად აკლია თქვენივე მოწონებული ინდივიდუალობაც და თავისებურებაც. ასე აზროვნობდნენ, სხვათა შორის, ძველი ნაროდნიკები, რომლებიც წინმსვლელობის ღერძს ეძებდნენ სოფლის ეკონომიურ პირობებში. მოგაგონებთ, ეგებ, რუსეთის ცნობილი მწერლის, გლებ უსპენსკის ერთი მოთხრობა, სადაც აწერილია გლეხი, თავისი პატარა საკუთრების მოტრფიალე, მისთვის მომღერალი და მითი გატაცებული. ეს გლეხი მზის ამოსვლა-ჩასვლას ხედავს მარტო ჯუთან-კალოსთან. ამის გარეშემო უტრიალებს მთელი მსოფლმხედველობა, ამითია სავსე მისი გული. ამ გლეხს აქვს თავისი, მართლა ინდივიდუალური, ინტერესები—მე ვიყო კარგათ და ვის რას დავეძებო,—ასეთია მისი მრწამსი.

ეს სოფლური ინტერესი ყოველთვის სარჩულათ ედება ანარქიულ მისწრაფებებს. ამნაირ სარჩულზე არასოდეს არ აშენებულა სახელმწიფოებრივი მთლიანობა. მთლიანი სახელმწიფოს შესაქმნელათ უნდა შეირყეს სწორეთ ის, რაზედაც დამყარებულია თქვენი „ნაციონალისტური“ მოძღვრება. უნდა შეირყეს კერძო საკუთრება, მთელი საზოგადოება, მთელი ერი უნდა გახდეს მესაკუთრე. მაშინ გაერთიანდება სახელმწიფო არა მარტო გარეგნულათ და არა მარტო მექანიკურათ. სწორეთ ამისთანა გაერთიანების მომხრეა სოციალ-დემოკრატია. ის წინ მიუძღვის მშრომელ ხალხს, რომელსაც კერძო საკუთრება არ გააჩნია, რომელიც ერის უმრავლესობას წარმოადგენს.

ვინც კერძო საკუთრებას იცავს, ის ამ უმრავლესობის მოწინააღმდეგეა, ის მტერია ეროვნული მთლიანობის. ყველა „ნაციონალისტი“ ამ მხრივ საშინელი ანტინაციონალისტია. თქვენც ეს მეორე სახელწოდება უფრო შეგვშვენდებათ. თუ მოინდომებთ ბოლომდის თქვენი პროგრამის განხორციელებას, დაინახავთ, რომ არაფრით არ გაირჩევით არც ერთ ჩვენში პარტიისაგან, რომელსაც ახასიათებს კლასობრივი თავმოყვარეობა. თქვენი ამ პარტიებისგან გამოცალკევება და „თავისებური“ სახით გამოსვლა გვაგონებს იმ პატარა საარაკო სულდგმულს, რომელიც ცდილობდა ხელოვნურათ გაზრდას და დიდ სულდგმულად გადაქცევას, რასაკვირველია, გეხსომებათ, როგორ გათავდა მისთვის ეს ცდა.

2.—„Коммунист“-ს.

ჩვენ არასოდეს არ მოგვიხსენებია თქვენთვის, რომ საქართველოში მოხდა სოციალისტური რევოლუცია. აქ, მართალია, უსისხლოთ და სხვა „წმინდა რუსულის“ ზომების მიუღებლათ განხორციელდა მშრომელი ხალხის დიქტატურა, მაგრამ თავისთავად ეს არ ნიშნავს ახლოვე სოციალიზმის დამყარებას.

თანამედროვე ხანა საზოგადოთ იმით გაირჩევა, რომ ეკონომიურად დაქვეითებულ ქვეყნებში არ არის ისეთი კლასი, რომელსაც შეეძლოს სახელმწიფოებრივი აღმშენებლობა. არ არის ბურჟუაზია თავისი ვიწრო ინტერესებს იქით გამხედველი და ფართო საქმიანობის ხელმძღვანელი. არ იყო რუსეთში ამისთანა ბურჟუაზია და ამ გარემოებამ შეუწყო ხელი ბოლშევიკების გამარჯვებას. არ იყო ეს კლასი არც საქართველოში, მაგრამ აქ იყო, სამაგიეროთ, ძლიერი სოციალ-დემოკრატია და ამ გარემოებამ შეუშალა ხელი აქ ბოლშევიკების გამარჯვებას.

რუსეთში განხორციელდა მუშა გლეხობის დიქტატურა, რადგან იქ ამ დიქტატურის საშუალებით უნდოდათ სინამდვილის ერთბაშათ გადალახვა, უნდოდათ გაკეთება ისეთი საქმის, რომელიც არ შეეფერებოდა ისტორიულ გარემოებებს. საქართველოში შესაძლებელი გახდა ეს დიქტატურა, რადგან აქ მოინდომეს გაკეთება იმ საქმის, რომელიც არ იყო შეუძლებელი თანამედროვე პირობებში. პოლიტიკური თავისუფლების საშუალებით აქ გვინდოდა და გვინდა ძველი დროიდან ახალში გადასასვლელი გზის გაკაფვა.

თქვენ ვერ არჩევთ ამ ორ გზას—რუსულს და ქართულს. იქ არ არის სოციალიზმი, არ შეიძლებოდა მისი განხორციელება უდემოკრატიოთ. აქ არის დემოკრატია და ეს საუკეთესო თავდებია მომავალი სოციალისტური რევოლუციის.

საქართველოს ეკონომიური კატასტროფა თქვენ ძალიან გახარებსთ, მაგრამ ნუ დაუმალავთ მკითხველებს, რომ რუსეთი ამ მხრივ დიდი ხანია გაცილებით უარეს მდგომარეობაში იმყოფება. სხვადასხვანაირია წყაროც ამ კატასტროფის... იქ ის გამომდინარეობდა თქვენი ეკონომიური პოლიტიკისგან, ყოველ შემთხვევაში, ეს პოლიტიკა იყო ერთ ერთი მიზეზი საბჭოთა რუსეთის დამშევის და აწიოკების. აქ კი უფრო გარეშე პირობებში უნდა ვეძებოთ დღევანდელი კრიზისის მთავარი დასაწყისი. თქვენი ქვეყნის მეზობლობა ჩვენთვის ერთი ამ გარეშე პირობათაგანია. ის ხელს უშლის საქართველოს დემოკრატიას, თითქმის შეუძლებლად ხდის მის ევროპასთან დაკავშირებას იქაური საწარმოო წყაროების გამოსაყენებლათ.

თქვენ ხარხარებთ დემონიურათ, გგონიათ, რომ ეს არის, დღეს თუ ხვალ, თქვენკენ გადმოაგდებს ხელს ჩვენი მუშა-გლეხობა. მაგრამ... კარგათ იცინის ის, ვინც გაიცინებს ბოლოს... საქართველოს მშრომელი ხალხი ამაზე უარეს კრიზისს აიტანს და საბჭოთა „დიქტატურის“ მახეზე არ წამოეგება.

უმჯობესი იქნება ისევ საკუთარ სახლ-კარს მიხედოთ, ისევ თქვენთვის ეძებოთ გამოსავალი გზები. ჰკითხეთ ლენინს და გეტყვით, სოციალიზმის შესახებ ნულარ ვიოცნებებთ, ჯერ კაპიტალისტურ ევროპას გავუღოთ კარები. დიახ, საბჭოთა რუსეთის ხსნა შესაძლოა უცხო კაპიტალის შემოშვებით. ამისთვის თქვენ დაგჭირდებათ ეკონომიური პოლიტიკის შეცვლა. ჩვენთვის კი ეს არ იქნება საჭირო. რამდენჯერ გვითქვამს, რომ სოციალისტური წესწყობილების დასამყარებლათ ევროპიული კაპიტალიზმი უფრო გამოსადეგი იარაღია, ვიდრე თქვენგან ერთადერთ გზათ გამოცხადებული სამოქალაქო ომი.

თქვენ გინდათ დაარწმუნოთ აქაური მუშა გლეხები, რომ ისინი ადვილათ გამოვლენ გაჭირვებული მდგომარეობიდან, თუ აქ ბოლშევიზმი გაიმარჯვებს. ჩვენ კი ღრმათ გვწამს, რომ ბოლშევიზმი უნდა მოინელოს რუსეთმაც, ეს „სოციალისტური“ მოძრაობა უნდა დამარცხდეს იქაც, და ეს იქნება ეკონომიურათ გამომთელების დასაწყისი არა მარტო საქართველოსთვის.

ს. დევდარიანი.

პრესის მაგიერი

„სახალხო საქმეს“ დიდი სურვილი აქვს, რაც შეიძლება, დიდი ოპოზიციონერი იყოს. მაგრამ რადგან არ შესწევს ძალა და ღონე აწარმოოს ოპოზიცია პრინციპიალურ ნიადაგზე—ის იფლობა წვრილმანობის ჭაობში და იქიდან გვიშენს თავის წვრილ მოტეხილ ისარს. ის ნებას აძლევს ყველას, ვინც კი მოისურვებს ითარეშოს მის ფურცლებზე, ოღონდ კი ჩვენ მაგრათ გამოგვლანძღოს და სხვადასხვა ჭორებით ერთი ორი ვინმე მაინც დაარწმუნოს ჩვენს ვერაგობაში და ამა თუ იმ ჯგუფის ინტერესების აბუჩათ აგდებაში.

პროკურორის აჩხაულს ამირაჯიბის საქმეში, იმ ამირაჯიბის, რომელმაც არ დაუცადა საბინაო განყოფილების დადგენილებას, შერჩეული გასაღებით გაიღო დაკეტილი ბინა და სხვაზე გადაცემულ ბინაში დაბინავდა,—ის ასე ასმენს თავის მკითხველებთან ჩვენს მთავრობას:

> „მოქალაქეს, ვისაც არ ჰყავს ძლიერი მფარველი ამა ქვეყნისა, დღისით, მზისით სჩაგრავენ, უთახავენ კეთილ სახელს, შეურაცხყოფას აყენებენ და როცა ამ უსამართლობით უკიდურესობამდე მისული გაბედავს და მოკრძალებით იკითხავს:—რისთვის, რათა? სჯიან, პირში ბურთს სჩრიან, ფეხებს უბრახუნებენ—არ გაბედო ხმის ამოღებაო და სხ.“ (№ 965).

ამ ამონაწერიდან ცხადად სჩანს, თუ რა რიგ „ოპოზიციას“ აწარმოებს „სახალხო საქმე“ და რა საქმეების მფარველათ და დამცველათ გამოდიან ბ. ბ. ფედერალისტები! პროკურორი თვით მოვალე და მოწოდებული კანონიერების და წესიერების მცველათ და დარაჯათ შერჩეული გასაღებით აღებს სხვის ბინებს—ეს „სახალხოს“ აზრით, არაფერია, ხოლო როცა ამას ყურ დებას აქცევენ და დაუშვებლათ მიაჩნიათ,—ეს თურმე „ჩაგვრა, შეურაცხყოფა და კეთილი სახელის შელახვაა“?!

ამის შემდეგ აბა რა გასაკვირია ის ლაზღანდარობა, რომელსაც ეწევა ვინმე ილ. ქუმბურიძე იმავე ნომერში, მასწავლებელთა მდგომარეობის შესახებ. ბ. ქუმბურიძე მასწავლებლებს ეკითხება და იცავს და იცავს ვისგან? ჩვენგან, ჩვენი „შეურაცხყოფისაგან“, ჩვენი „წიხლებისაგან“. (ქუმბურიძის სიტყვაა). მაშ ასე, ჩვენ მასწავლებელს ვჩაგრავთ, ბ. ქუმბურიძე კი იცავს და მფარველობს!

მასწავლებელთა, ეს ახლად მოვლენილი ქომაგი და დამცველი ჩვენს მიერ მასწავლებელთა წინააღმდეგ ვითომდა გალაშქრებას ასე ხსნის: „ორში ერთი: „ერთობა“ ან თვით ძლიერ მაძღარი იყო და არის, ან კიდევ სრულებით არ იცნობს მასწავლებელთა უმწეო მდგომარეობას“. გაძღომაზე ლაპარაკი და გაძღომისათვის მოთქმა-ტირილი ეს ხომ პროფესიაა ჩვენი ფედერალისტების. ჩვენ კარგათ ვიცით მასწავლებელთა უმწეო მდგომარეობაც, მარა ისიც კარგათ ვიცით თუ რა უმწეოა ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიური მდგომარეობა, რა მსხვერპლს ითხოვს ის თავის მოქალაქეებისგან და ჩვენ სწორეთ ამაზე ვუთითებდით ჩვენს მასწავლებლებს, ჩვენ სწორეთ ეს საერთო მდგომარეობა გვიკარნახებს ასეთ პოზიციას და არა ის, რასაკვირველია, რომ ჩვენ „მაძღრები“ ვართ და სხვის „შიმშილს“ ვერა ვგრძნობთ. ჩვენ კარგათ ვიცით, თუ რა შიმშილს განიცდის ჩვენი მუშათა კლასი, მაგრამ როცა ხედავენ ჩვენი ქვეყნის გაჭირვებას, იობის მოთმინებით იტანენ ამ გასაჭირს და აი ჩვენ გვინდა ამ საერთო კრიზისის დროს ყველამ გაიღოს საჭირო მსხვერპლი, რომ ამით საერთო მდგომარეობა გამოსწორდეს, არ დაინგრეს რესპუბლიკა და რომ შემდეგში შესაძლებელი გახდეს თვით მასწავლებელთა ინტერესების სამართლიანათ დაკმაყოფილებაც. „სახალხოს“ და მის ქუმბურიძეს ეს ან არ ესმის, ან არ უნდა გაიგოს და არც გაიგებს, ეტყობა. რადგან ჩვენს მოთხოვნაზე—რომ „შეგნებულმა მასწავლებლებმა უნდა გაითვალისწინონ ჩვენი მდგომა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს

მთავრობამ დაადგინა დაიხუროს კაფე-შანტანები და კლუბები, რომელთაც გართობის ხასიათი აქვს. აგრეთვე დაიხუროს ის რესტორანები, რომელსაც კაბინეტები აქვს და სხვა.

ზარალის ანაზღაურების კომისიამ სკაპა-ფლოდში ფლოტის ჩაძირვის გამო გერმანიას დამატებით 83000 ტონაჟი შეაწერა.

29 ოქტ. ღამით თფილისში მოხდა ძლიერი მიწის ძვრა, რომელიც 4 წამს გაგრძელდა.

გორიდან მიწის ძვრის შესახებ ჯერ ცნობები არ მოსულა.

მარეობა-თქვა"—ბ. ჰუმბურიძე გვიპასუხებს: „ასეთ ქათინაურებს დიდი ხანია მუშტარი დაეკარგაო".

და თუ ეს „ქათინაურებია და თუ მას მუშტარი დაეკარგა", რაღა გასაკვირია, თუ ჰუმბურიძე და ძმანი მათნი ვერ შეწვდებიან და ვერ გაერკვევიან დღევანდელ მდგომარეობაში და ვერ ამაღლდებიან იქამდე, რომ თავის ინტერესები დაუმორჩილონ საერთო ინტერესებს და ასე, საერთო ძალღონით რესპუბლიკის ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესობის ტრაპეზზე თავის ხვედრი მსხვერპლიც მიიტანონ. მარა ჩვენ იმედი გვაქვს, მასწავლებელთა უმრავლესობას შეგნებული და გათვალისწინებული აქვს ის პირობები, რომელშიაც მას უხდება მუშაობა და ის არ მოისურვებს თავის მოუფიქრებელი ნაბიჯით ხელი შეუწყოს ისედაც მწვავე მდგომარეობას...

განი.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

28 ოქტომბერი.

რუსეთის დეპეშ. სააგენტო

(ბოლშევიკური)

სამხედრო ცნობა.

მოსკოვი. 27 ოქტ. ხერსონის რაიონში-ჩვენ დავიკავეთ ქალაქი ალეშკი და მის სამხრეთით და ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით მდებარე სოფლები. ნიკოპოლის რაიონში ბრძოლა ჩვენ სასარგებლოდ გრძელდება. დამატებითი ცნობებით 28 ოქტ. ბრძოლის დროს, ჩვენ წამოვიყვანეთ 1.100 ტყვე, ხელთ ვიგდეთ 3 ზარბაზანი, 44 ტყვიისმფრქვეველი, 200 ურემი სამხედრო ქონებით. ჩვენ ბერდიანსკი და ნოგაისკი ავიღეთ.

აღმოსავლეთის შესახებ.

„იზვესტია" მოწინავეში, რომელსაც სათაურად აქვს „შორეულ აღმოსავლეთის გაერთიანება" სწერს: ამ მოკლე დროში ჩიტაში მუშაობას დაიწყებს შორეულ აღმოსავლეთის ოლქების კონფერენცია, შორეულ აღმოსავლეთის გაერთიანებისა და ცენტრალურ მმართველობის შექმნის საკითხის გადასაწყვეტად. ამდენხანს ამ საქმის ხელის შემშლელი იყო ატამანი სემიონოვი, რომელიც ჩიტაში იყო და აღმოსავლეთს ორ ნაწილად ყოფდა: ვერხნეუდინსკისა და ვლადივოსტოკის გარეთ. ეს, რასაკვირველია იაპონიის იმპერიალიზმის დასტურით ხდებოდა. იაპონია სემიონოვს ეხმარებოდა. ეხლა ჩიტა წითელმა აჯანყებულებმა დაიკავეს. სემიონოვი ჰაეროპლანით გაიპარა. მისი მომხრეები დამარცხდნენ, იაპონიას არაფერი აღარ დარჩენია გარდა იმისა, რომ ახალ მთავრობას კბილთა ღრჭენით მიესალმოს. ჩვენი წინასწარმეტყველება, რომ აღმოსავლეთში იაპონელები აქტივობას ვერ გამოიჩენენ გამართლდა. იაპონია დასავლეთით მდგომარეობის გართულებას უცდის. ამგვარად ჩიტას საკითხი დადებითად სწყდება.

ყურადღების ცენტრათ ეხლა ჩიტას კონფერენცია, რომელზედაც თავი მოიყარა შორეულ აღმოსავლეთის ყველა რესპუბლიკათა წარმომადგენლებმა.

ასე ერთმანეთს შეეჯახება ვლადივოსტოკისა და ვერხნეუდინსკის თვალსაზრისით ვლადივოსტოკში შესდგა კოალიციონური სამინისტრო ესერების და მენშევიკების მონაწილეობით. ამიტომ შესაძლებელია, რომ მცირე ბრძოლა მოხდეს. კონფერენციაზე იაპონიის გავლენა იქნება. იაპონელები შეეცდებიან გაიმარჯვონ ფარული პოლიტიკით. ისინი დაინტერესებულნი არიან ციმბირის ბუფერულ სახელმწიფოს შექმნით. ამიტომ ისინი ეხლა დაუჭერენ კოალიციურ მართველობას ცენზიანთა მონაწილეობით, რომლებიც კერძო საკუთრების საუკეთესო წარმომადგენლებათ ითვლებიან. შორეულ აღმოსავლეთით დაინტერესებულია საბჭოთა რუსეთი მშრომელთა ინტერესების დასაცავათ. საბჭოთა რუსეთი აღიარებს შორეულ აღმოსავლეთის პოლიტიკურ თვითგამორკვევის უფლებას. საბჭოთა რუსეთს არ სურს, რომ შორეული აღმოსავლეთი რეაქციის ბუდეთ შეიქნეს.

ლიონის ცნობები

ტონაჟის დამატებითი შეწერა გერმანიაზე.

ზარალის ანაზღაურებელმა კომისიამ სკაპა-ფლოდში ფლოტის ჩაძირვის გამო გერმანიას დამატებით 83,000 ტონაჟი შეაწერა.

რატიფიკაციის გადადება.

უნგრეთის სატრანსპორტო ხელშეკრულების რატიფიკაცია ნოემბრის 18 გადაიდო.

ვენიზელოსის განცხადება.

ვენიზელოსმა განაცხადა: საბერძნეთისთვის საჭიროა ისეთი მეფე, რომელზედაც გავლენას ვერ მოახდენს ყოფილი მეფე კონსტანტინე.

გერმანული პრესა

სამხედრო საქმის გარშემო.

(დასაწყისი არ მიგვიღია) თავდაცვის მინისტრმა გესლერმა გადაჭრით უარყო შეიდემანის ბრალდებანი და აღნიშნა, რომ მიუხედავათ დიდი დაბრკოლებისა დემობილიზაცია სასწრაფოთ ხდება. გრ. ვესტარპმა რომელიც გერმანიის ნაც. პარტიის ბელადად ითვლება, ენერგიულათ დაიცვა ოფიცრები შეიდემანის კრიტიკისაგან. მან გაილაშქრა პრუსიის დანაწილების წინააღმდეგ, რომელსაც ზემო სილეზიისა და სხვა ოლქებისათვის ავტონომიის მინიჭება გამოიწვევს. ვესტარპმა განაცხადა, რომ გერმანიის ეროვნულ პარტიას არ შეუძლია სოც. დემ. მუშაობა. კათოლიკური პარტიის ბელადმა ტრიმბორნმა შეიდემანის სიტყვიდან გამოიტანა დასკვნა რომ სოც. დემ. სურთ მთავრობის ჩამოგდება.

ფრანგულ-ქართული ბანკეტი პარიზში

სექტემბრის 27 პარიზში გაიმართა ფრანგ მრეწველთა მიერ მოწყობილი ფრანგულ-ქართული ბანკეტი. ბანკეტზე თავმჯდომარეობდა ბ-ნი ნულანსი, საფრანგეთის ყოფილი ელჩი პეტროგრადში. საფრანგეთის მთავრობის მხრივ დაესწრნენ: სახალხო განათლების მინისტრი ბ. გონორატი, მრეწველობის აღორძინების მინისტრი ბ. ლეუბერი, საგარეო საქმეთა სამინისტროს ვაჭრობა-მრეწველობის დეპარტამენტის დირექტორი ბ. ლიაროში, ამავე სამინისტროს ბეჭდვითი განყოფილების დირექტორი ბ. მილგო, საფრანგეთის უმაღლესი კომისარი კავკასიაში ბ. შევალიე და სხვა.

საფრანგეთის მრეწველობის, კომერსანტების და ფინანსისტებიდან ბანკეტს დაესწრნენ: ბ. ჟილე (ლევანისა და რუსეთის სავაჭრო ბანკისაგან ბ. ბ. ბალარი ფონტერი და რომენი) „კავკასიის საზოგადოებისაგან", ბ. გერბერტი (აბრეშუმის მრეწველი ფირმა „მაბრიერ მორელისაგან") ბ. ფერარი („ფერენას" ფირმისაგან ბ. ბ. მერსიე და დემატრი (მარგანეცის ფრანგ მრეწველებისაგან) და მრავალი სხვა.

საქართველოს მხრივ ბანკეტზე დაესწრნენ: ნ. ს. ჩხეიძე, ე. პ. გეგეჭკორი, კ. კანდელაკი, ფ. გოგიჩაიშვილი, ი. ჭავჭავაძე, ი. ელიგულაშვილი და სხ.

ბანკეტის თავმჯდომარე ბ-ნი ნულანსი მიესალმა რა საქართველოს წარმომადგენლებს, დიდი თანაგრძნობა (სიმპატია) გამოსთქვა ახალგაზრდა რესპუბლიკისა და მისი მთავრობის მიმართ. მან მოიგონა ქართველი ერთის სახელოვანი წარსული და შემდეგ თანამედროვე საქართველოს შინაურ მდგომარეობის დახასიათებაზე გადავიდა, ამ ორი წლის განმავლობაში საქართველომ დაამტკიცა, რომ მას შეუძლია დამოუკიდებელი არსებობა. თქვენი რესპუბლიკა თქვენი მეზობლებისათვის წესრიგისა და თავისუფლების მაგალითს წარმოადგენს. საფრანგეთი ვალდებულია დიდის ყურადღებით და გულწრფელი თანაგრძნობით მოეპყრას საქართველოს და დახმარების ხელი გაუწოდოს მას—სთქვა ნულანსმა.

თავმჯდომარის შემდეგ ვრცელი საქმიანი სიტყვა წარმოსთქვა ბ. ბაირმა, როგორც საფრანგეთის მრეწველობის წარმომადგენელმა.

ბ. ბაირმა მოიგონა საფრანგეთის კაპიტალის დიდი ხნის მუშაობა საქართველოში—ჭიათურის შავი-ქვის მრეწველობაში, სპილენძის მრეწველობაში და წყლის ენერგიის ელექტროფიკაციის საქმეში. ბაირი—როგორც პირდაპირი, მონაწილე მთელ რიგ სამრეწველო დაწესებულებისა, რომელიც საფრანგეთის კაპიტალით შეიქმნა საქართველოში, აღნიშნავს, რომ იგი იცნობს საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეს და ქართველ ხალხს. მას მტკიცედ სჯერა, რომ ამ ახალგაზრდა რესპუბლიკას ბრწყინვალე მომავალი ექნება. ბაირს თვალსაჩინოდ მიაჩნია საქართველოს მთავრობის მიერ მიღწეული შედეგები, მაგრამ მომავალში იგი მისაგან უფრო მეტს მოელის.

ბაირმა თავის სიტყვის დასასრულ სთქვა: ეს დიდი მუშაობა, რომელიც უკანასკნელი წლის განმავლობაში გასწიეს აქ წარმოდგენილმა საფრანგეთის ფირმებმა, ნათელ ყოფს ამ ქვეყნის ბრწყინვალე პერსპექტივებს აბრეშუმის, მატყლის, ტყავის და თუთუნის გატანის საქმეში, ხოლო მომავალში თუ ელექტრონის მრეწველობა აღორძინდა, ხე-ტყის გატანაც შეუქმნის მრეწველობას საუკეთესო პირობებს. თქვენში ყველაფერი მოიპოვება, რაც საჭიროა ვაჭრობის განვითარებისათვის, რომ ამ გზით მიიღოთ თქვენთვის საჭირო საფაბრიკო საქონელი, განამტკიცოთ თქვენი ვალიუტა. თქვენში მომუშავე ფრანგებს საშუალება ჰქონდათ გაეცნობოდნენ თქვენს ინჟინერებსა და მუშა-მოსამსახურეებს. იმათ იციან, თუ როგორის ხალისით ეწაფებიან ქართველები ახალ საქმეს, და როგორ იოლათ ითვისებენ ახალ ცოდნას. ჩვენ განზრახვა გვაქვს ამ მოკლე ხანში საფრანგეთში შევქმნათ ლიცეი, რომელშიაც შეისწავლიან სპეციალურ საგანს საქართველოდან გამოსული ახალგაზრდები. ნულანსისა და ბაირის საპასუხოთ სიტყვები სთქვეს კ. პ. კანდელაკმა, ე. პ. გეგეჭკორმა და ნ. ს. ჩხეიძემ. კანდელაკმა თავისი სიტყვაში დახატა საქართველოს მთავრობის ეკონომიური პოლიტიკა, რომლის მიზანიცაა ხელი შეუწყოს სახელმწიფოში სამრეწველო ძალების განვითარებას. შემდეგ ბ-ნმა კანდელაკმა სთქვა: „ევროპის მოწინავე ხალხთა ცოდნამ და გამოცდილებამ უნდა გაანაყოფიეროს ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრე, საქართველოსა და საფრანგეთის თანამშრომლებმა ორივე მხარეს მოუტანს სარგებლობას. ფრანგი მრეწველები, რომელნიც მიდიან ჩვენთან სერიოზულ მუშაობისათვის და ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ ღონისძიების დასახმარებლათ ყოველთვის ჰპოვებენ საქართველოს მთავრობის მხრით დახმარებას.

მე შემიძლიან შეგპირდეთ, რომ ამგვარ მუშაობაში მათ უარს არ ეტყვიან".

ფინანსთა მინისტრის შემდეგ ილაპარაკა ე. პ. გეგეჭკორმა. თავის მოკლე სიტყვაში, რომელიც წარმოთქმული იქნა ფრანგულ ენაზე, ე. გეგეჭკორმა ნულანს და ბაირს მადლობა გადაუხადა საქართველოს მიმართ ასეთი თბილი გრძნობების გამოთქმისათვის. საფრანგეთის დახმარება, სთქვა მან,—ძვირფასია ჩვენთვის. ასეთი გზით შესაძლებელია განმტკიცდეს მეგობრული კავშირი საქართველოსა და თქვენს რესპუბლიკას შორის, რომელმაც მისცა მთელ ქვეყნიერებას თავისუფლების პირველი გაკვეთილი. ბანკეტის დასასრულ სიტყვა წარმოსთქვა ნ. ჩხეიძემ. დამფუძნებელ კრების თავმჯდომარემ გამოსთქვა თავისი ღრმა რწმენა, რომ არც საქართველოში და არც საფრანგეთში არ იქნება ასეთი ადამიანი, რომელსაც ამ ორ სახელმწიფოს ეკონომიური თანამშრომლობა აუცილებელ საჭიროებათ არ მიაჩნდეს. „ასეთი ეკონომიური დამოკიდებულება ურთიერთ შორის აქამდისაც უნდა დაგვემყარებია, მაგრამ დაგვიანებული არც ახლა არის. უნდა ვიზრუნოთ, რომ ასეთი დამოკიდებულების დამყარებას ხელი არაფერმა შეუშალოს. სამწუხაროთ, დღესაც არ არის თავიდან აცილებული ყველა დაბრკოლება. საქართველოს რესპუბლიკა ჯერაც არ არის იურიდიულად ცნობილი, და ეს გარემოება ბორკავს მას, როგორც პოლიტიკურ ისე ეკონომიურ სფეროში. ეს ორი სფერო ძალიან მჭიდროთ არის ერთმანეთთან დაკავშირებული. მათი განცალკევება შეუძლებელია. ორი ქვეყნის ეკონომიური დაახლოვებისათვის აუცილებლივ საჭიროა მათი პოლიტიკური დაახლოვებაც. დასასრულ ნ. ს. ჩხეიძემ გამოსთქვა ღრმა რწმენა, რომ საფრანგეთის მმართველი წრეები, რომლებიც დაესწრნენ ამ ბანკეტზე, რომ ამით საქართველოსადმი თავისი მეგობრული გრძნობა გამოეცხადებინათ და ხელი შეეწყოთ საქართველოს ეკონომიური დაახლოვებისათვის, ყოველ ღონეს მიიღებენ დასავლეთის დიდი სახელმწიფოებისაგან და კერძოთ საფრანგეთის მთავრობისაგან საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის იურიდიულად ცნობის დასაჩქარებლათ. (სდს.).

ახალი ამბები

1 ნოემბრიდან ჩვენი გაზეთის ნომერი ეღირება 15 მ. თვეში კი 375 მ.

◆ **მიწის ძვრა.** ოქტ. 29 ღამით მოხდა ძლიერი მიწის ძვრა, რომელიც 4 წამს გაგრძელდა. მიწის ძვრამ ზარალი მოიტანა თუ არა გამორკვეული არ არის. შინ. საქმეთა სამინისტრომ შეეკითხა გორს და მისდამი რწმ. დაწესებულებებს მიწის ძვრის შესახებ. დეპ. საგ. შეკითხვაზე უპასუხა, რომ მიწის ძვრისაგან დაზარალების შემთხვევები ჯერ შენიშნული არ არისო. სამთო სამმართველოც შეეკითხა გორის სეისმოგრაფიულ სადგურს მიწის ძვრის შესახებ, მაგრამ პასუხი ჯერ არ მოსულა.

◆ **სახალხო უნივერსიტეტში.** ოქტომბრის 31 გაიხსნება სახალხო უნივერსიტეტი. გახსნაზე მოწვეულია მთავრობის თავმჯდომარე, ნ. ჟორდანია, კარლ კაუცკი და აგრეთვე საზოგადო მოღვაწენი. ამ წლიდან სახალხო უნივერსიტეტში ლექციების კითხვა სისტემატიურათ დაიწყება. უნივერსიტეტი გაიხსნება ძველ ბინაზე (პლეხანოვის პროსპ.)

◆ **ავათმყოფობა.** ოქტომბრის 15 ბათომში შავი ჭირით ავად ყოფილა 18 კაცი ერთი კვირის განმავლობაში ავად გამხდარა 2, მორჩენილა 6, მომკვდარა 1. საავადმყოფოში დარჩენილა 13, ფოთში ავად გამხდარა 1, ამავე ცნობებით ტფილისში აღნიშნულ დროს განმავლობაში ხოლერით არავინ ავად არ გამხდარა.

◆ **გზათა დეპარტამენტის განცხადებით.** გზათა უწყების დეპარტამენტი აცხადებს, რომ ზოგიერთ გაზეთებში მოთავსებული ცნობა იმის შესახებ, რომ ელექტრონის სადგურები 4 თვის განმავლობაში უზრუნველყოფილია სათბობი მასალით, სიმართლეს არ შეეფერება.

◆ **გზათა უწყების** დეპარტამენტის დირექტორმა ქიქიძემ დაამთავრა ქართულ ენაზე ორთქლის ქვაბების კურსის შედგენა საშუალო ტეხნიკურ სკოლებისთვის. ამ წიგნს გამოსცემს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება.

◆ **მომარაგება.** მუშათა მაგიდამ მიიღო 2 ვაგონი ხახვი. 1 ვაგონი გადაეცა ტრამვაის და ქალაქის თვითმართველობის მუშა მოსამსახურეთ. ამ დღეებში კიდევ მოელიან რამოდენიმე ვაგონ ხახვს, რომელსაც მაგიდა დაურიგებს სხვადასხვა საზოგადო და სახელმწიფო დაწესებულებებს.

კრებები.

დღეს, დილის 12 საათზე ქართულ კლუბის დარბაზში შესდგება წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თფილისის ფილიალის წევრთა საზოგადო კრება. მთავარი გამგეობა სთხოვს ბბ. წევრთ უსათუოდ დაესწრონ კრებას, რადგან ფრიად საჭირო კითხვებია განსახილველი.

— სამშაბათს, 2 ნოემბერს, საღამოს 5 საათზე, მუშათა სასახლეში, თფილისის მზარეულთა პროფ. კავშირის გამგეობა იწვევს თფილისის მზარეულთა საერთო კრებას.

— დღეს 31 ოქტომბერს, დილის 10 საათზე, ქალაქის საბჭოს დარბაზში შესდგება თფილისის ცენტრალურ სოციალურ დამხმარე საზოგადოების რწმუნებულთა კრება. განსახილველია 1) საზ. წესდების საკითხი 2) ხარჯთ აღრიცხვა. 3) მიმდინარე საკითხები. სხდომაზე მოწვეულნი არიან წარმომადგენლები შემდეგი დაწესებულებებიდან: დამფუძნებელ კრებისა და ქალაქის საბჭოს ს.-დ. ფრაქციიდან, შრომისა და შინაგან საქ. სამინისტროდან, პროფ. კავშირთა სეკრეტარიატიდან და ქალაქის თვითმართველობიდან.

კაფეების და რესტორანების დახურვა

მთავრობამ მოისმინა მოხსენება კლუბების და რესტორანების დახურვის შესახებ და დაადგინა: 1) დაიხუროს კაფე შანტანები და კლუბები, რომელთაც გართობის ხასიათი აქვთ. აგრეთვე დაიხუროს ის რესტორნები, რომელსაც კაბინეტები აქვს და სხვა ამგვარი დაწესებულებები. 2) დაწესდეს რესტორნებისა, სასადილოებისა და სამიკიტნოებისათვის ვაჭრობა საღამოს 10 საათამდე ახალი დროით. 3) საგანგებოთ განისაზღვროს სამიკიტნოებისა და ყავახანების რიცხვი.

4) აიკრძალოს ყოველგვარი ტკბილეულობის კეთება გარდა შაქრის, შაქარყინულისა, მონპასიესი, „სუხარებისა" და ბულკებისა, 5) მშრომელთა სიმშვიდის დასაცავად აიკრძალოს კერძო ბინებზე ქეიფი და ყოველგვარი მხიარულება, რომელიც მეზობლის მყუდროებას არღვევს. პირველი მუხლის დამრღვევნი დაისჯებიან ოთხი თვით დაპატიმრებით ან 100.000 მანეთის ჯარიმის გადახდევინებით. მხოლოდ მეხუთე მუხლის დამრღვევნი კი დაპატიმრებულ იქნებიან ორი თვით და ან დაჯარიმებული 10.000 მანეთით. აქედან შემოსული ფული გადაეცემა შრომის სამინისტროს სოციალურ დახმარების აღმოსაჩენად. დადგენილების შესრულება ევალება. შინაგან საქმეთა სამინისტროს.

სახალხო გვარდიის მეორე ყრილობა

28 ოქტომბერი. დილის სხდომა.

თავმჯდომარეობს ნ. ელიავა.

ამ სხდომაზე პირველად ყრილობამ მოისმინა მოხსენება **ალ. დგებუაძისა**, რომელმაც წარმოადგინა მთავარი შტაბის მიერ შემუშავებული და ყრილობის სექციის მიერ დამტკიცებული წესდება საოლქო შტაბების, მთავარ შტაბის, ადგილობრივ შტაბების და გვარდიის ნაწილების კომანდირებს შორის ურთიერთობის შესახებ და განსაზღვრული უფლებების და მოვალეობების.

საზოგადო მსჯელობის შემდეგ მუხლობრივათ გარჩევის დროს შეტანილი იყო ორი შესწორება, რომელიც ეხებოდა შვებულებაში წამსვლელთა რიცხვს და შვებულების ვადას.

სასოფლო-სამეურნეო სექციის სახელით მოხსენებას აკეთებს, ამხ. ელ. ჯიბლაძე. ის ამბობს:

ჩვენი მუშაობის ირგვლივ დიდი დავა იყო ატეხილი. საჭიროა თუ არა სახალ. გვარდია ჩაებას სამეურნეო მუშაობაში. დღეს ჩვენს შორის არავითარ პრინციპიალურ დავას არ იწვევს ეს საკითხი.

ამიტომ მე შეუდგები დებულებების განხილვას. ეკონომიური კრიზისის დროს საჭიროა სამეურნეო მუშაობა.

მან უნდა დააკმაყოფილოს გვარდიის მოთხოვნილება თანამედროვე მწვავე ეკონომიური მდგომარეობის დროს.

1) ბრძოლა მხედრული კასტიური სულის კვეთებასთან, 2) კოლექტიური შრომის შემოღება, 3) ეკონომიური უზრუნველყოფა გვარდიელებისა.

წარმოება უნდა ხდებოდეს გვარდიელების საშუალებით.

ნ. ჟორდანიას მოხსენება

(სახალხო გვარდიის მეორე ყრილობაზე 26 ოქტომბერს)

(სტენოგრაფიული ანგარიში)

(დასასრული) *)

ახლა მე გადავალ საგარეო მდგომარეობაზე. ჩვენი საგარეო მდგომარეობა რასაკვირველია ჩვენ ხელში არ არის. თუ ჩვენი ფინანსიური და ეკონომიური მდგომარეობა დამოკიდებულია ჩვენზე და მისი გამოსწორება შეგვიძლია ჩვენი შრომითა და მოქმედებით,—სამაგიეროთ საგარეო მდგომარეობა დამოკიდებულია საერთაშორისო სახელმწიფოთა ურთიერთ განწყობილებაზე, და აქ შეგვიძლია მხოლოდ ერთი რამ: ეს განწყობილება ნათლად წარმოვიდგინოთ, სწორედ შევიგნოთ, და ამ საერთო მდგომარეობაში ჩვენ ჩვენი მართალი და საკუთარი პოზიცია მოვნახოთ. ასე თუ ისე ჩვენი საგარეო პოლიტიკის აზრი იმაშია, რომ ამ საერთო დახლართულ დროში ნათელი წარმოდგენა არ დავკარგოთ და არ გადავიხაროთ იქ, სადაც ჩვენი ადგილი არ არის, არ დავკარგოთ ჩვენი შესაფერი პოზიცია. აი ამიტომ მე მინდა გაგაცნოთ ის დახლართული ურთიერთობა, რომელიც დღეს არსებობს, და ასეთ ურთიერთობაში ჩვენი სახელმწიფოს პოზიცია.

თქვენ იცით, რომ დღეს ერთი მეორეს უპირდაპირდება ორი ქვეყანა: ერთი ევროპა და მეორე ბოლშევიკური რუსეთი და რამოდენიმედ ზოგი აზიური ხალხები და სახელმწიფოები. აქ ბოლშევიკური რუსეთი გამოდის როგორც მეთაური აზიის აჯანყებისა წინააღმდეგ დასავლეთ ევროპისა. რას ნიშნავს ეს? უნდა ვსთქვა, რომ ბოლშევიზმი, უპირველეს ყოვლისა, არის წმინდა რუსული რევოლიუციონური მოძრაობა, და მიმართულება, შიგნით აფუერადებული, სწორედ რუსული „ობშჩინური", ერთნაირი მუჟიკური იდეებით.

იმდენად, რამდენად ეს რევოლიუციონური მოძრაობა არის, უეჭველად, პროგრესიულიცაა. ამით ისინი წააგვევენ იმ რევოლიუციონერთ, რომელნიც არსებობდნენ საფრანგეთის დიდი რევოლიუციის დროის, ე. ი. იაკობინელებს.

უეჭველია, სიღამპლე და სისაძაგლე იმდენად იყო რუსეთში დაგროვილი, იმდენათ ღრმა იყო ძველი რეჟიმის ძირი, რომ მის აღმოსაფხვრელად საჭირო იყო ისეთი დიდი მოძრაობა, როგორიც არის ბოლშევიკური. ეს მოძრაობა არის ნამდვილი ღვიძლი შვილი რუსეთის მდგომარეობისა. რამდენად მან ძველი ნაშთი სავსებით ამოაგდო და მისი დაბრუნება აღარ შეიძლება, იმდენად ბოლშევიკური მოძრაობა პროგრესიულია (ხმები: მართალია). მაგრამ ამ ბოლშევიზმმა თავისივე როლი, ეს დიდი საქმე, შეასუსტა იმით, რომ მას მიაკერა ისეთი იდეები, რომელიც განუხორციელებელია რუსეთის ფარგლებში, ეს ეგრედ წოდებული კომუნისტური იდეები.

ამიტომ ბოლშევიზმში არის ორი სული—ერთი დადებითი, პროგრესიული,—მეორე სრულიად უარყოფითი, უტოპიური, რომლის განხორციელება შეუძლებელია, და ეს განუხორციელებელი უტოპია ასუსტებს იმას, რაც მასში არის დადებითი.

ახლა, რა მოძრაობა არის აზიის მოძრაობა?

უეჭველია, აზიის მოძრაობაც არის რევოლიუციონური, ე. ი. მას უნდოდა თავისი თავის განთავისუფლება იმპერიალისტების ბატონობისაგან,—შექმნა თავისი საკუთარი სახელმწიფო და, თავისი თავის ბატონ პატრონი ყოფილიყო.

მაგრამ ამ მოძრაობაშიაც არის ორი მხარე: იმდენად, რამდენადაც ეს მოძრაობა ღებულობს ნაციონალურ ფორმას—ის არის მოძრაობა რევოლიუციონური და პროგრესიული,—მაგრამ იმდენად, რამდენადაც იგი ღებულობს რელიგიურ პანისლამისტურ ფორმას,—ეს მოძრაობა არის რეაქციონური, ვინაიდან არ არის ერის ბატონობა, არამედ ერთი რელიგია უპირდაპირდება მეორე რელიგიას. და უნდა ვსთქვა, რომ დღევანდელ აზიურ მოძრაობაში, რომელსაც ბოლშევიკები მეთაურობენ, სჭარბობს რელიგიური, პანისლამისტური მოძრაობა და ამიტომ ეს რეაქციონური მოძრაობა არის.

მაჰმადიანებმა იციან რევოლიუციონურ-ნაციონალური მოძრაობა. მაგალითად, არაბებმა დაარსეს თავისი სახელმწიფო, სპარსეთში იყო და დღესაც არის რევოლიუციონურ-ნაციონალური მოძრაობა, მაგრამ არც სპარსელებს და არც არაბებს არა ჰქონიათ პანისლამისტური შეგნება, ე. ი. მაჰმადიანობა ერთი-სახელმწიფო უნდა იყოს და დაუპირდაპირდეს ქრისტიანობას. ასეთი აზრი არ არის სპარსეთში, ეს აზრი უმთავრესად თურქების, ოსმალეთის აზრია და რამდენადაც ეს აზრი ვითარდება და ასეთ სამოსელით და დროშით გამოდის, უეჭველია, ასეთი მოძრაობა უარყოფითი არის.

ჩვენ გვაქვს ცნობები, რომ ქემალფაშის პარლამენტში ორი მიმდინარეობა იყო,—ერთი ნაციონალური, მეორე პანისლამისტური. საბოლოოდ ნაციონალური დამარცხდა და ნაციონალისტი დეპუტატები გარეკეს და დარჩნენ პანისლამისტები. და აი, ამისთანა პანისლამისტებთან კავშირი და საქმე აქვთ ბოლშევიკებს.

ყოველ შემთხვევაში, როცა დღეს ევროპას ეპირდაპირება ერთის მხრივ ბოლშევიზმი რუსეთის სახით და მეორეს მხრით აზია, მას იგი ეპირდაპირება იდეურად, ე. ი. ეპირდაპირება იმ მხრივ, რომ უარს ყოფს ევროპის მატერიალურ-პოლიტიკურ კულტურას. ისინი უარს ყოფენ დემოკრატიზმს და ცდილობენ, რომ შეიარაღებულ ძალით, თავისუფლების ერთნაირი მოსპობით დაამყარონ თავისი იდეები თავის სახელმწიფოში. ეს უარისყოფა დემოკრატიზმისა და თავისუფლებისა არის ნიშანდობლივი თვისება ბოლშევიზმისა. ამაში ერთნაირად ეთანხმებიან ერთმანეთს ბოლშევიკურ რუსეთის და აღმოსავლეთის აზიურ სახელმწიფოების დესპოტიური ტრადიციები. ბოლშევიზმი—ეს ძველი დესპოტიზმის ახალ ფორმებში აღდგენაა და ამით იგი ხატავს ნათლად აზიის სულის კვეთებას.

აი, ასეთი შერეული მოძრაობის, ასე ვსთქვათ, ამალგამას, ასეთი შეერთება უარყოფითი და დადებითი თვისებებით აშინებს ევროპას და იგი იღებს ყოველ ზომას, რომ ამ მოძრაობას ისეთი ბარიერი გაუკეთოს, რომ აქედან იქით არ გადავიდეს. რატომ აშინებს? დღეს არის ორი ევროპა: ერთი გამარჯვებული და მეორე დამარცხებული. დამარცხებული ევროპა ცდილობს, რასაკვირველია, რომ ეს დამარცხება შეამსუბუქოს. დამარცხებული გერმანია და ავსტრია ცდილობენ გამოვიდნენ იმ მდგომარეობიდან, რომელშიაც არიან. პირიქით, გამარჯვებული ინგლისი, საფრანგეთი და სხვები ცდილობენ შეინარჩუნონ თავისი მდგომარეობა და ცხოვრებაში გაატარონ ვერსალის ხელშეკრულება. ამიტომ, ეს დამარცხებული სახელმწიფოები რუსეთისა და აზიის მოძრაობას უყურებენ როგორც ერთნაირ თავის სასარგებლო მოძრაობას, მაგ. თუ ინდოეთში ინგლისი დამარცხდება და ეგვიპტე აღარ ექნება, ან და საფრანგეთი აზიაში დამარცხდება, ამას უყურებენ როგორც თავისთვის ხელსაყრელ მოვლენას და ამიტომ ამ მოძრაობას ისე მტრულად არ უცქერიან, როგორც ინგლისი და საფრანგეთი.

ერთმა დიდმა სახელმწიფო მოღვაწემ გერმანიაში, რეაქციონერმა, ვილჰელმის მარჯვენა ხელმა—ლუდენდორფმა სთქვა, რომ ჩვენი ხსნა ბოლშევიზმშია, ე. ი. ბოლშევიკები დაარღვევენ ანტანტას და თუ ის დაირღვა, მაშინ დაირღვევა ვერსალის ზავიც.

მეორე გარემოება არის ის, რომ დღეს მთელ ევროპაში გამწვავებულია კლასთა ბრძოლა. აი ამ კლასების ბრძოლაში ერთის მხრით სდგას იმპერიალისტური მთავრობები და მეორეს მხრით პროლეტარიატი. აი, ამათ შორის იჭრება ბოლშევიზმი—ეს ერთნაირი რევოლიუციონური მოძრაობა, და ამიტომ ამ კლასთა ბრძოლას ამწვავებს, ახალი ფორმები შეაქვს. ეს გარემოება კიდევ უფრო აშინებს ამ იმპერიალისტურ მთავრობებს და სახელმწიფოებს. მაგრამ გადაჭრით უნდა ვთქვათ, რომ ამ ბოლშევიზმის შეჭრა ევროპის მუშათა მოძრაობაში არამც თუ აძლიერებს ამ მოძრაობას, არამედ ასუსტებს. იქ, სადაც ის შეიჭრა, მოძრაობა ყველგან დასუსტდა. იქ, სადაც ბოლშევიკები არ არიან, ან მცირე არიან, მეტად დიდია მუშათა მოძრაობა და აქვს ფართო ხასიათი. მაგ. ინგლისში არას დროს არ ყოფილა მუშათა პარტია ისეთი ძლიერი, როგორც დღეს, რადგან იქ ბოლშევიზმი მეტად სუსტია. პირიქით—საფრანგეთში ბოლშევიკური მიმართულება არის ძლიერი, მაგრამ ამასთანავე მუშათა პარტია ისეთი სუსტია, როგორც არასოდეს. ეს იმიტომ არის, რომ მუშათა მოძრაობა არის იმდენათ ძლიერი, რამდენადაც მას მხარს უჭერს არა პროლეტარული ელემენტებიც. საქმე იმაშია, რომ არ შეიძლება მოხდეს რევოლიუცია ისე, თუ მისი მომხრე არ არის ხალხის უმრავლესობა. იქ კი, საფრანგეთში და გერმანიაში, ის ხალხი, რომელიც მუშებს უჭერდა მხარს ბოლშევიზმის შიშით, მიემხრო ბურჟუაზიულ პარტიებს, ისე, რომ ბოლშევიკურმა პროპაგანდამ ისეთი როლი ითამაშა, რომ აუარებელი ხალხი ჩამოაშორა სოციალიზმს და გადარეკა მოწინააღმდეგე ბანაკში.

ეს კიდევ არაფერი. საქმე იმაშია, რომ თვით სოციალისტებშიაც ამ იდეამ შეიტანა დიდი განხეთქილება. შეუძლებელია ბოლშევიკური ინტერნაციონალი იმიტომ, რომ ინტერნაციონალი არის სხვადასხვა ერთა მუშების ერთ უღელში გაბმა. ბოლშევიზმი კი წმინდა ნაციონალური, წმინდა რუსული მოვლენაა. ამიტომ შეუძლებელია, რომ მან შეაერთოს ფართო მასა დასავლეთ ევროპისა და სხვა სახელმწიფოებისა.

ამიტომ ეს ბოლშევიკური მეთოდი შედის ევროპაში არა როგორც ფართო სოციალისტური მოძრაობა, არამედ როგორც სექტა და ეს ჰყოფს სოციალისტებს ჯგუფებად. აი, მაგ. გერმანიაში თვით სპარტაკელთა შორის არის ორი ჯგუფი. და მათ შორის ბრძოლაა. ეხლა დამოუკიდებელი სოციალისტური პარტია სამად გაიყო. გერმანიაში, სადაც მუშათა მოძრაობა მეტად ძლიერი და მძლავრი იყო, ეხლა ის წვრიმალდება. აშკარაა, როცა სოციალისტური პარტიები ჯგუფებად იყოფიან, სუსტდება ენერგია პროლეტარიატისა.

აი, ასეთია საერთო მდგომარეობა პოლიტიკური და სოციალური შინაარსით—რუსეთში, აზიაში და ევროპაში.

ეხლა სად უნდა იყოს ჩვენი პოზიცია ასეთ მდგომარეობაში? ჩვენი პოზიცია ერთად ერთია: ჩვენ ვიცავთ ნეიტრალობას—რატომ? ხანდისხან ნეიტრალობა ნიშნავს უხასიათობას, გაუბედაობას, ლაჩრობას. არის ეს? ეს არ არის აქ. აქ ნეიტრალობა გამოწვეული არის წმინდა პრინციპიალური მოსაზრებით. ჩვენ არც ერთ მოპირდაპირეს არ ვუჭერთ მხარს იმიტომ, რომ არც ერთი მათგანი არ არის ჩვენი იდეების მატარებელი. ერთად ერთი სახელმწიფო, რომელსაც შეუძლიან სთქვას, რომ ის არც იმპერიალისტურია და არც ბოლშევიკური, არის ჩვენი სახელმწიფო. ჩვენ არც იმპერიალისტები და არც ბოლშევიკები არა ვართ; ჩვენ ვართ სოციალისტები და თავისთავად ცხადია, რომ ჩვენ ვერ ვიქნებით ვერც იმპერიალისტების და ვერც კომუნისტების ბანაკში. აი, ამიტომ ჩვენ ვამბობთ, რომ ჩვენ ვიცავთ საკუთარ პოლიტიკას, ნეიტრალურ მდგომარეობას. ეს ორი წელიწადია, თუ მეტი, ჩვენ ამ ნიადაგზე ვდგევართ მტკიცედ. ჩვენ ყოველი მხრიდან გვეპოტინებოდნენ ხან იმპერიალისტები და ხან ბოლშევიკები, მაგრამ ჩვენი პოზიციიდან დღემდე არ გამოვედით და არც გამოვალთ, იმიტომ, რომ არც ერთი სახელმწიფოს მთავრობა არა გავს ჩვენი სახელმწიფოს მთავრობას. ჩვენს შორის პრინციპიალური განსხვავება არის და ამიტომ, თავისთავად ცხადია, რომ ჩვენ მათ ვერ მივეკედლებით. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამ სახელმწიფოებთან არ გვქონდეს ზოგიერთი საერთო ინტერესები, რომ ყველა ძაფები ჩვენ და მათ შორის გაჭრილია.

რა ინტერესებია ეს?

პირველი არის ის, რომ ჩვენ ვდგევართ თავისუფლების და დემოკრატიზმის ნიადაგზე, და მაშასადამე, ჩვენ ამით უკავშირდებით დასავლეთ ევროპას. მეორე მხრით ჩვენ ვდგევართ იმ ნიადაგზე, რომ სოციალისტური რევოლიუციის დაწყება არ შეიძლება არც საქართვე-

---

*) იხ. „ერთობა" № 247.

გვარდიელი უნდა ფიქრობდეს, რომ ის უნდა დაექვემდებაროს არა იარაღს, არამედ შრომას. იარაღი მან შრომას უნდა დაუქვემდებაროს. შრომის საწარმოებლათ საჭიროა ყველა გვარდიელმა თავის მოვალეობათ დაისახოს კოლექტიურ შრომაში მონაწილეობა.

ამისათვის საჭიროა იმუშაონ გვარდიელებმა განურჩევლათ მათი მდგომარეობისა ათი დღე „შტაბის" განკარგულებაში ამ სამეურნეო საქმეებზე. ტანისამოსის მიცემა არ არის სავალდებულო. ჯამაგირის მიეცემა იმ წესით, როგორც მობილიზაციით გამოწვეულნი, გვარდიელებმა უნდა იმუშაონ თავიანთ რაიონში გარდა უკიდურეს შემთხვევისა.

გვარდიელების გაწესრიგება ხდება სპეციალობის მიხედვით.

გვარდიელების მუშაობამ სამეურნეო დარგში არ უნდა დაასუსტოს სამხედრო ძლიერება გვარდიისა.

გაიმართა კამათი. ილაპარაკეს ვ. ჯუღელმა, ფარქოსაძემ, ბრეგვაძემ, ფოფხაძემ, დიომ. დგებუაძემ, სალირაშვილმა, ვასაძემ და ლაბაძემ.

კამათი იყო ორ კითხვის შესახებ. 1) რამდენათ არის საჭირო სახალხო გვარდიის სამეურნეო დარგში მუშაობა. 2) როგორ შეიძლება მისი პრაქტიკულათ განხორციელება და რამდენათ მისაღებია იძულებითი თვითდაბეგვრა, რომელიც წამოყენებული იყო მომხსენებლის მიერ დასახელებულ ღონის ძიებათა შორის. ზოგის აზრით შეუძლებელია ამ უკანასკნელი პრინციპის მიღება, რადგანაც ამაზე არავინ არ წავა სიხალისით, და მეორეს მხრივ, ეს შეასუსტებს სახალხო გვარდიის სამხედრო ძალასო.

ვლ. ჯიბლაძე. (უკანასკნელი სიტყვა). არ არის ისეთი სახელმწიფოებრივ-საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელსაც მთელი სიმძიმე მუშაობისა გადმოეტანა მეურნეობაზე. ერობებმა, რომლებსაც ეს უნდა გაეკეთებინათ, ვერ შესძლეს. ერობათა ცენტ. კავშირმა ხელი მიჰყო თივის დამზადებას, აუარება თივა გაუფუჭდა და მოგებაც ვერა ნახა.

და ეს, სხვათა შორის, იმიტომაც მოხდა, რომ ჩვენში დიდი ნაკლებობაა მუშა ხელისა. უცხო მუშები წავიდნენ აქედან, ხალხიც შეცოტავდა და მუშახელის ნაკლებობა მწვავეთ გამოჩნდა.

ჩვენ პოლიტიკურათ გამაგრებულნი ვართ, მაგრამ ეკონომიურათ ჩვენ, ისეთვე, როგორც მთელი მსოფლიო, აუტანელ მდგომარეობაში ვართ. ამას ზედ ერთვის ისიც, რომ ჩვენ გარშემორტყმულნი ვართ მტერით, რომელიც ერთ გირვანქა პურსაც კი არ უშვებს ჩვენთან. ჩვენ ახალ, ნორჩ სახელმწიფოს ვაშენებთ და ესეც უნდა მივიღოთ მხედველობაში.

საჭიროა სიტყვა საქმეთ ვაქციოთ. ყველაფერი კი არ უნდა აღუთქვათ ხალხს, არამედ ის, რაც შესაძლებელია შესრულდეს. არ უნდა ვკვებოთ ილიუზიებით, როგორც ამას ბევრნი შვრებიან. ფაქტები ზღაპრულათ იზრდება, ეხლავე უნდა დავიწყოთ თადარიგი და მეურნეობითი მუშაობა, რომ გავუადვილოთ სახელმწიფოს ეს ეკონომიური კრიზისი.

მაგრამ ამის წინააღმდეგ მოჰყავთ ანალოგიები ჯარსა და გვარდიას შორის და ამბობენ, რომ ის სამხედრო ორგანიზაციაა და მისი სამეურნეო დარგში გამოყენება არ შეიძლებაო. მაგრამ ავიწყდებათ, რომ ჯარი და გვარდია სხვადასხვა პრინციპებზე არის აგებული, სხვადასხვაა მიზეზი მათი დაარსების. რა არის მიზეზი გვარდიის დაარსებისა? ეს მიზეზი შეიძლება მარქსის ცნობილი ოთხი სიტყვით გამოვხატოთ—გაჭირვების ჟამს, დემოკრატიის განსაცდელის მომენტში მუშათა კლასმა კრიტიკის იარაღი—იარაღით კრიტიკით შესცვალა. როცა საფრთხეა, მაშინ იღებს გვარდია ხელში იარაღს და აი, მან დაიწყო ნაციონალური სახელმწიფოს შენება ობიექტიურ პირობათა გამო.

მაგრამ ის არ უნდა დაკმაყოფილდეს მხოლოდ იარაღით, არამედ მუშაობა უნდა გადაიტანოს მეურნეობის დარგში. და აი აქ მიაღწიოს საგრძნობ ნაყოფიერებას, შეუმსუბუქოს სახელმწიფოს გასაჭირი. ამ ჟამათ არ არის სხვა ორგანიზაცია, რომელიც ამას შესძლებდეს და ამ მუშაობას უნდა საფუძვლათ დაედოს არა პრინციპი დიდი მოგებისა, არამედ ხალხისათვის მეტი სარგებლიანობისა. საქმე რაოდენობაში კი არ უნდა იყვეს, არამედ ღირსებაში. რასაკვირველია, მოგებაც არ უნდა დაგვავიწყდეს, მაგრამ მთავარი სასარგებლო და საჭირო ნივთების და საგნების შექმნაა. მოგებაც უსათუოთ გვექნება, მე ძალიან შევამოკლე ჩვენი შემოსავლის რაოდენობა, მაგრამ საქმე თვით საბოლოო მიზანშია—შეუმსუბუქოს ხალხს მძიმე მდგომარეობა, და პირნათლათ უნდა ვიაროთ ამ საბოლოო მიზნისკენ. და ამ მეურნეობაში უსათუოდ უნდა იყოს იძულებით თვითდაბეგვრა. თუ დაქირავების პრინციპზე წავა საქმე, მაშინ მუშაობაზე უარის თქმა მოგვიხდება. ჩვენი მიზანია—კოლექტიური მუშაობის გაღვივება, ხალხის ამ მუშაობასთან შეჩვევა, ჩვენი მუშაობის მიზანია კოლექტიურ წარმოებასთან შევაჩვიოთ გლეხობაც—მაშ საქმე თვით მუშაობის არსებაში.

სრულიად უსაფუძვლოა იმის მტკიცება, თითქოს წელიწადში 60 დღის მუშაობა დაასუსტებს გვარდიის სამხედრო ძლიერებას. კამათს იწვევს ის, თუ როგორ მოხდეს ეს თვით დაბეგვრა და რამდენათ შესაძლებელია. ის გლეხს მუდამ რჩება თავისუფალი 10 დღე და მან ამ 10 დღეში უნდა იმუშაოს. კადრიც უსათუოდ უნდა იქნეს გამოყენებული, რადგან ჩვენი პატარა ქვეყნისათვის 4000 მუშა ხელის დაკარგვა დიდი დანაკლისია, და აგრეთვე იმიტომაც, რომ ჩვენთან არ შეიკრიბნენ ისინი, ვინც შრომას გაურბიან. მუშები აგრეთვე არ მოსცდებიან მუშაობას და არც სძულთ ეს მუშაობა, უმრავლესობა სოფლიდან არიან წამოსულნი, უკვე ეხლა აარსებენ ისინი კომუნებს, არტელებს, მიწის დასამუშავებლათ. როცა მუშაობა დაიწყო მაშინ ყარაიაზში გავგზავნეთ ნაძალადევის მუშები, რომლებმაც იმუშავეს იქ 23 დღე და ბევრი დაავადმყოფდა. მაგრამ იმათ დაავალეს თავის წარმომადგენელს აქ იმ აზრის დაცვა, რომ მუშაობა იქ აუცილებლათ საჭიროა. (ტაში).

ამგვარათ ჩვენი წინადადება ამ ბეგარის სავალდებულო ხასიათის შესახებ არ უნდა იწვევდეს კამათს. ჩვენ იმედი გვაქვს ჩვენი გვარდიელებისა, რომ ამ მუშაობაში მხარს დაგვიჭერენ; და ამ მუშაობით კი ყოველ შემთხვევაში თუ ქვეყანას არ გავაკვირვებთ—თავის თავს მაინც გავამაგრებთ და უზრუნველვყოფთ. (ტაში).

მუხლობრივი განხილვის შემდეგ სექციის მიერ წარმოდგენილი პროექტი მიღებულ იქნა მცირეოდენი შესწორებებით, რომელიც ეხება უმთავრესათ ჯილდოს.

ოქტომბრის მწუხარება

სტირის ოქტომბერი.
ცუდი ამინდია.
სიცივი აფითრებს საღამოს ბინდიანს.

ღრუბლების გემები ცაზეა დამბული.
და შიში ვარდება ჰაერის დამბური.
ქარის ხმას ევლება ვნებები მრავალი.
ლანდები არ არის სივრცეში მავალი.

სტირის ოქტომბერი—
და ჩემს სულს აშინებს.
სიკვდილის ხელები ფიქრს აშალაშინებს...

არ არის ალერსი და არც მეგობარი,
დღეები შავია და დაუნდობარი.
ეჭვებით, ხიფათით გზა აჩენს იარებს
მყობადის ძახილი სულს ამგლოვიარებს.

სტირის ოქტომბერი
და დარი არ არის.
ეჰ, ჩემი იმედი ნეტავი სად არის?
არის სიცრუე, არ არის არავინ,
მყავს მეგობარი ცრუ, შემპარავი.
უფერულ დღეებზე ვარ მსხვერპლის მიმტანი.
თუ არის აქ ვინმე—ეს მე ვარ წმინდანი.
მშვიდობით მოძმენო, იყავით ნათელი.
მივდივარ—გრიგალით ქედ გადანათელი.

ხარიტონ ვარდოშვილი.

თფილისი,
ოქტომბრის 28.

შინა-მრეწველობა და სახელმწიფო მონოპოლია

III

ავტორი ამბობს: „რა უნდა ქნას იმ პირმა, რომელსაც აკრძალული აქვს თავისი ნაწარმოების მისი საჭიროებისამიხედვით მოხმარება, რომელიც ვერც დააგირავებს და ვერც გაჰყიდის"-ო? ხომ არ ენატრება ამხ. ესვანჯიას ის დრო, როდესაც მწარმოებელი აგირავებდა და ჰყიდდა თამბაქოს თავისუფლად? თუ რა სანატრელი გარემოება იყო ამ თავისუფალი გაყიდვა-დაგირავების დროს, ამას ამოვიკითხავთ ქვემოდ მოყვანილი 1918 წლის ბიულეტენში (Бюлетень о состоянiи табачныхъ хозяйствъ въ сухум. окр. за 1918): „შარშანდელი თამბაქოს მოსავალი, ღირსებით ძალიან მაღალი, ჯერაც არ გაყიდულა და აწყვია პლანტაციებში... ამნაირათ მიმდინარე წლის თამბაქოს დათესა-დარგვის სეზონის დასაწყისში სოხუმის ოლქში შეუძლებელი შეიქნა თამბაქოზე ფართო მუშაობის დაწყება, რადგანაც მეთამბაქოეთ არ ჰქონდათ ამის სახსარი და არ იყვნენ დარწმუნებული, რომ თამბაქოს საქმე გაუმჯობესდებოდა... ფრიად მძიმე პოლიტიკურმა და ეკონომიურმა მდგომარეობამ აიძულა მყიდველნი (იგულისხმე—მსხვილი შუამავალი—ჩარჩი. ი. ყ.) სრულიად თავი შეეკავებინათ თამბაქოს ყიდვისაგან... ამ გარემოებამ გასაჭირ მდგომარეობაში ჩააყენა მწარმოებელი. ამ სამწუხარო მდგომარეობით ისარგებლეს ზოგიერთმა სპეკულიანტებმა (დიდი უმრავლესობა სოხუმის თამბაქოს საწყობის პატრონებისა სპეკულიანტებია. ი. ყ.) და დაიწყეს გაჭირვებულ მწარმოებლისგან თამბაქოს ოხრის ფასათ შეძენა—40—60 მანეთად ფუთი, მიუხედავათ იმისა, რომ ფუთი თამბაქო მწარმოებელს უღირდა 90—120 მანეთად". აი რა მდგომარეობა იყო იმ „სანეტარო" დროს, როდესაც თამბაქოს თავისუფალი დაგირავება ვაჭრობა სწარმოებდა.

ამხანაგი ლ. ესვანჯია ამბობს, რომ ერთი მიზეზთაგანი თამბაქოს მოსავლის შემცირებისა იყო ის, რომ მთავრობამ ძველ 1918 წლამდის მოყვანილ თამბაქოზედ საშუალო ფასი დაადო 700 მანეთით გაუკეთოთ ანალიზი ამ საყვედურს. ავტორი თავის წერილის დასაწყისში გვიჩვენებს, რომ მონოპოლიის გამოცხადების შემდეგ გამოირკვა, რომ აფხაზეთში 930,000 ფუთი თამბაქო იყო დაგროვილი (ამ ანგარიშში 1919 წლის მოსავალი არ შედის); მაგრამ იმას კი არ ამბობს, თუ ვის ხელში იყო თამბაქო. ზემოდ ნაჩვენები თამბაქოს მთელი რაოდენობის 95% იყო მათ ხელში, რომლებზედაც 1918 წლის ოფიციალური ბიულეტენი მოგვითითებს, ე. ი. იმ სპეკულიანტების ხელში, რომელთაც ამავე ბიულეტენის სიტყვით ფუთი თამბაქო 40—60 მანეთად ჩაიგდეს ხელში. მხოლოდ თვით მწარმოებელთა ხელში დარჩენილი იყო მეტად მცირე რაოდენობა და ისიც ქონდათ უმთავრესათ, შედარებით მდიდარ პლანტატორებს, რომელთა უმრავლესობა სოფლის წვრილ სპეკულიანტებს წარმოადგენენ და რომელთაც ეს თამბაქო თავისივე გაჭირვებული მეზობლიდან ქონდათ ოხრის ფასად შეძენილი. ეხლა ვნახოთ იმავე 1919 წლ. ოფიციალურ ბიულეტენში, თუ რა ფასები არსებობდა თავისუფალ ბაზარზედ მონოპოლიის შემოღების წინა დღეებში:

1919 წლის აგვისტოში თამბაქოზე იყო შემდეგი ფასები:

1) გუმისტა-გუდაუთის რაიონის სამსუნის დაკეცილი ფუთი 600—700 მ.
„ დაუკეცავი „ 500—600 მ.
2) კოდორის და სამურზაყანოს რაიონის; სამსუნი დაუკეცავი ფ. 320—370 მ.

როგორც ვხედავთ მთავრობის მიერ დანიშნული ფასი—700 მანეთი მაქსიმალური ყოფილა, და თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ბიულეტენში ნაჩვენები ფასი „იგულისხმებოდა თამბაქოს შეკვრით და ხშირად გემზე დადებით, მაშინ ნათელი ხდება, რომ ეს ფასი ყოვლად სამართლიანი ყოფილა.

მაინც წარმოვიდგინოთ, რომ ესვანჯია მართალია და სამონოპოლიო ფასი იმ მწარმოებელთათვის, რომელთაც მცირეოდენი თამბაქო შერჩათ ხელში პატარაა. აქ ვეკითხებით ამხ. ესვანჯიას, რა უფრო სასარგებლოა სახელმწიფოსათვის და თვით მწარმოებელთა მასსისთვის, ის, რომ სრულიად დაუმსახურებლად მთავრობამ გულ უხვი ფასი მისცეს ხალხის მძარცველ სპეკულიანტ-მესაწყობეებს და ამით გაიღოს ხაზინიდან რამდენიმე ასეული მილიონი, თუ ის, რომ რამოდენიმე ათეულმა პლანტატორმა, ისიც მეტ-ნაწილად პატარა სოფლის ჩარჩებმა შედარებით ნაკლები ფასი მიიღონ? არ ვიცით, რა პასუხს მოგვცემს ამხ. ესვანჯია, მხოლოდ აქვე მოვიყვანთ ერთი ჯგუფი წვრილ პლანტატორების წერილს, რომელიც ჩვენ ხელთა გვაქვს. ამ წერილიდან მკითხველი დაინახავს, თუ რა აზრისა არიან წვრილი მწარმოებელნი მონოპოლიაზედ და იმ შედარებით მდიდარ პლანტატორებზე რომელთაც ჩვენ ზევით უწოდეთ „პატარა ჩარჩები". წერილის მართლწერას უცვლელად ვტოვებთ:

„Главноуполномоченнаго Министерства Снабженія.

Заявленіе.

Съ того дня, какъ была объявлена монополія, этотъ день былъ для насъ праздничнымъ, что мы, плантаторы, избавились отъ тяжелаго несвержимаго спекулянтскаго ига. Словомъ, мы избавились отъ крупныхъ спекулянтовъ, но не могли избавиться отъ мелкихъ спекулянтовъ, которые одновременно сыграли большую роль.—Несмотря на Ваше постановленіе настоящее время таковые продолжаютъ свой идеи умственно, которые ходятъ по округу и распространяютъ по своему и покупаютъ табаки и возятъ въ городъ,—нѣкоторые въ склады Союза Плантаторовъ нѣкоторые собственные склады. Въ числѣ нихъ нѣкоторые дали заявленіе въ Комиссаріатъ Абхазый, что они плантаторы напримѣръ: (აქ ჩამოთვლილია მთელი რიგი გვარებისა). Покорнѣйше просимъ Главноуполномоченному, что строго слѣдили за таковыми лицами, которые также одновременно постараются попасть въ Правленіе Союза плантаторовъ и дѣйствительно было (მოყვანილია გვარი) и есть (აქაც გვარი).

Группа плантаторовъ".

აი ის „პლანტატორები", რომელთა ხელში იყო უმცირესი ნაწილი დაგროვილი თამბაქოსი, და აი ვის ინტერესებს იცავს, შეიძლება შეუგნებლად, ამხანაგი ესვანჯია, როდესაც ის მთავრობას საყვედურებს სამონოპოლიო ფასის სიცოტავეს.

ამხ. ესვანჯია დაჟინებით მოითხოვს, რომ თამბაქოს ფასი სიმინდთან შეფარდებით დაწესდეს. მოვაგონებთ მას, რომ საქონელზე ფასის დადება ვისიმე სურვილით არ ხდება. საქონლის ფასი განისაზღვრება მისი მოთხოვნილებით. ავტორმა უნდა იცოდეს, რომ დღეს ევროპის ბაზარზედ მრავალი ობიექტიური პირობების გამო, ფუთი თამბაქო ღირს $2^1/_2$ გირვანქა სტერლინგი და აქედან $^1/_2$ გირ. სტერლინგი შეხვევას და გატანას უნდა. ამხ. ესვანჯიას თეორიას თუ დაუჯერეთ და თამბაქოს ფასი სიმინდს შეუფარდეთ, მივიღებთ შემდეგს:

მისი ჩვენებით ფუთი სიმინდი ღირს 1,000 მანეთი.

ომამდის ფუთი თამბაქო იყიდებოდა საშუალოდ 25 მანეთად, სიმინდი იყიდებოდა საშუალოდ 50 კაპეიკად. მაშასადამე ერთი ფუთი თამბაქო უნდა ფასობდეს 50 ფუთ სიმინდათ × 1000 = 50,000 მან. აი სად მიგვიყვანს ამხ. ესვანჯიას პოლიტიკური ეკონომია.

ავტორი გვეუბნება, რომ თამბაქოზე მაგარი ფასების დაწესება შეუძლებელიაო. რამდენათაც ვიცით, 1919 წლის მოსავლიდან მთავრობა არც აწესებს მაგარ ფასებს. მაგარი ფასები მთავრობამ იხმარა სპეკულიანტების მიერ მონოპოლიის შემოღებამდის ოხრის ფასად შეძენილ თამბაქოს სალიკვიდაციოდ. მხოლოდ რაც შეეხება 1919 წლის და შემდეგის მოსავალს, როგორც ეს თვით ესვანჯიამაც უნდა იცოდეს, მაგარი ფასები არ ედება, არამედ მონოპოლიის კანონში აღნიშნულ კომისიის მიერ დამუშავებულ თვით-ღირებულობას აძლევს მწარმოებელს, მათი კოოპერატიული ამხანაგობების საშუალებით, მხოლოდ თამბაქოს საბოლოვოდ გასაღებამდის მწარმოებელი მისი პატრონი რჩება და დიდი ნაწილი მოგებისა მასვე უბრუნდება.

ამხ. ესვანჯია ურჩევს მთავრობას, რომ მან მწარმოებელს თამბაქოს თვითღირებულება კი არ მისცეს, არამედ თამბაქო (160—170 ათასი ფუთი) ეხლავე გაიტანოს მთავრობამ კოოპერატივებთან ერთად გასაყიდათ. ესმის თუ არა ამხ. ესვანჯიას, თუ რა შედეგები მოჰყვება ამ აჩქარებას? ესეც რომ არ იყოს, ნუ თუ არ იცის ავტორმა, თუ რამდენი დრო უნდა ამ თამბაქოს გატანას და გაყიდვას ევროპაში? იცის თუ არა მან, რომ ამნაირი „ცერემონიალნი მარშით" გატანილი თამბაქო იქნება $1^1/_2$ გირ. სტერლინგათაც ვერ გავყიდოთ, და მართლაც ორი ფუთი სიმინდის ფასსაც ვერ ამოვიღოთ? ჩვენა ვფიქრობთ, რომ ამხ. ესვანჯია დაშორდა, როგორც პროვინციელი, ობიექტიურ პირობების შეგნების საშუალებას, თორემ ამნაირ რჩევას არ მისცემდა მთავრობას.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენი მთავრობა და მისი ორგანო, რომელსაც აქვს დაკისრებული ამ საქმის წარმოება ვერ იხელმძღვანელებენ „მშიერი კაცის" ფსიხოლოგიით და გამონახავენ სხვა საშუალებას, რათა დააკმაყოფილონ მწარმოებელი შეძლებისდაგვარად და თამბაქოც მუქთად არ გადაყარონ.

ჩვენ ერთგვარი კამათი გაუმართეთ ამხ. ესვანჯიას, და აღვნიშნეთ, რაში სცდება ის. გაზეთის ფარგლები არ გვაძლევენ საშუალებას, თორემ უფრო ფართოდ შეგვეძლო გაგვეშუქებინა მისი შეცდომები. მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს, რომ აღვნიშნოთ ის ადგილებიც, სადაც ამხ. ესვანჯია სიმართლეს აღიარებს. ის აღნიშნავს, რომ თამბაქოში მისაცემი სესხის დარიგება დაგვიანებული იყო და მწარმოებელს დროზე ვერ მიასწრო, რომ შპაგატი დროზედ ვერ მიაწოდეს მწარმოებელს. ეს საყვედური ჩვენის აზრით სამართლიანია, რასაც ვგონებთ სათანადო მთავრობის ორგანოები ვერ უარყოფენ. მაგრამ ამასაც თავისი ობიექტიური მიზეზები ჰქონდა. გავიხსენოთ გამწვავებული პოლიტიკური მდგომარეობა, რომელშიაც ჩვენი ქვეყანა იმყოფებოდა, როცა მთელი ჩვენი ახალგაზრდობა თოფ ქვეშ იდგა, და ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ და ფიზიკურ არსებობას იცავდა.

დასასრულ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი საერთო ხაზი მონოპოლიის გატარებაში სწორი იყო და არის. რასაკვირველია მას ქონდა ბევრი ნაკლი წვრილმანებში, მაგრამ ვინც არაფერს არ აკეთებს, მხოლოდ ის არ სცდება. შეცდომები მით უფრო შესაწყნარებელია იმ საქმეში, რომლის საჭირო ტრადიცია და გამოცდილება ჩვენ არ გვქონდა და ვფიქრობთ არც სხვა ვისმეს ჰქონდა.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მთავრობის ის ორგანოები, რომელთაც დაკისრებული აქვთ მონოპოლიის გატარება და ჩვენი მეურნეობის აყვავებაზე ზრუნვა, გადახედავენ მათგან განვლილ გზას, იხელმძღვანელებენ ამ ხნის განმავლობაში მიღებულ გამოცდილებით, გაასწორებენ ყოველივე შემჩნეულ შეცდომებს მათ წარსულ მოქმედებაში და შეძლებისდაგვარად იზრუნებენ ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ წარმატებისთვის.

ი. ყ.

პროფესიონალურ კავშირებში

პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს სეკრეტარიატში.

თათბირი მუშათა ეკონომიურ მდგომარეობის შესახებ.

28 ოქტომბრის სხდომაზე პროფ. კავშირთა საბჭოს სეკრეტარიატმა დაადგინა: კვირას, 31 ოქტომბერს, დილის 10 საათზე მოიწვიოს სეკრეტარიატის, პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტისა და შრომის სამინისტროს წარმომადგენელთა თათბირი. თათბირზე განხილულ იქნება მუშა-მოსამსახურეთა მძიმე მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესობისათვის საჭირო ზომები.

სომხეთის ჯარში გაწვეულთა და მოხალისეთა შესახებ.

შემნახველ გამსესხებელ დაწესებულებათა მოსამსახურეების კავშირი შეეკითხა პროფ. კავშირთა საბჭოს სეკრეტარიატს: ვრცელდება თუ არა სომხეთის ჯარში გაწვეულთა და მოხალისეებზე საქართველოს რესპუბლიკაში არსებული კანონი მობილიზაციით გამოწვეულთათვის სამსახურისა და სამუშაო ქირის ნახევრის შენახვის შესახებ. სეკრეტარიატის პრეზიდიუმმა სცნო, რომ საქართველოში არსებული კანონი მობილიზაციით გამოწვეულთა უზრუნველყოფის შესახებ არ შეიძლება გავრცელებულ იქნას იმ პირებზე, რომელნიც მსახურებენ სხვა სახელმწიფოს სამხედრო სამსახურში.

მცირე კამათის შემდეგ სეკრეტარიატმა დაამტკიცა პრეზიდიუმის დადგენილება.

ცენტრალური პროფ. კავშირები და ადგილობრივი საბჭოები.

ზოგიერთი პროფ. კავშირები, რომელნიც აერთიანებენ მთელ რესპუბლიკის ამა თუ იმ პროფესიის პირთ (ფოსტა-ტელეგრაფის, მასწავლებლებისა და სხვა) ადგილობრივათ არ არიან შეკავშირებული პროფ. კავშირთა საბჭოს მიერ და ამ რიგათ ისინი ფაქტიურათ პროფ. კავშირთა ხელმძღვანელ ორგანოს კონტროლის გარეშე იმყოფებიან.

სცნო რა საქმის ასეთი მდგომარეობა არა ნორმალურათ, სეკრეტარიატმა დაადგინა: წინადადება მისცეს საქართველოს პროფ. კავშირთა აღმასრულებელ კომიტეტს, რათა უკანასკნელმა ცხოვრებაში გაატაროს დადგენილება იმის შესახებ, რომ ადგილობრივი, ცენტრალური განყოფილებები ვალდებულნი არიან შევიდნენ პროფ. კავშირთა ადგილობრივ საბჭოებში.

მათ შორის დამოკიდებულების საერთო საკითხი გადაეცემა განსახილველად საქართველოს პროფ. კავშირთა აღმასრულებელ კომიტეტს.

ქ. თფილისის პროფ. კავშირთა მდგომარეობის გამორკვევა.

ამის შემდეგ სეკრეტარიატმა მოისმინა ამხ. ზარქუასაგან ცნობა თფილისის პროფ. კავშირთა მდგომარეობის გამორკვევის ორგანიზაციის შესახებ. საქართველოს პროფ. კავშირთა აღმასრულებელ კომიტეტმა საგანგებო კომისიას მიანდო გამოარკვიოს ქ. თფილისის პროფ. კავშირთა მდგომარეობა და მოხსენება წარუდგინოს იმ ცვლილებებზე, რომელიც შეტანილ იქნება პროფ. კავშირთა ორგანიზაციის საქმეში.

კომისიამ დაადგინა: გამოარკვიოს და ცვლილება შეიტანოს ჯერ 15 ყველაზე მსხვილ წმინდა პროლეტარულ კავშირებში და იმათშიაც, რომელნიც პროფესიით ამ კავშირებს ეხმრობიან. შედგენილ იქნა გამორკვევის მუშაობის გეგმა და წესრიგი. კომისია აუცილებელ საჭიროდ სთვლის აღნიშნულ მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ კავშირთა მუშაკები სეკრეტარიატისა და გამგეობების სახით. ამ მიზნით ის მართავს მოლაპარაკებას კავშირთა სეკრეტარიატთან, სადაც აღნიშნულ უნდა იქნას მოსამზადებელი მუშაობა, რომლითაც იხელმძღვანელებენ კავშირები.

ლოდან, არც რუსეთიდან. ეს მოწინავე სახელმწიფოებმა—ინგლისმა, ან საფრანგეთმა უნდა დაიწყოს. სანამ ეს არ მოხდა, ჩვენში უნდა იყოს განვითარებული ევროპის ფორმის საწარმოო ძალები და ამიტომ ვუღებთ კარებს ევროპის კაპიტალს და ამ მხრითაც საერთო ინტერესები გვაქვს დასავლეთთან. თავის თავად ცხადია, რომ რუსეთში სოციალისტური, მენშევიკური მთავრობა იყოს, ჩვენ მაშინ ნეიტრალურ პოზიციაზე არ ვიდგებოდით და ვიტყოდით, რომ მხარს უჭერთ მათო. მაგრამ ეს ასე არ არის. იქ, რუსეთში არის ორი ძალა: ერთი ბოლშევიკებისა და მეორე რეაქციონერებისა. მესამე ძალა არ არის და ჩვენ ამ ძალებს შორის არჩევანი უნდა მოვახდინოთ, და ჩვენ ვამბობთ, რომ რუსეთში რეაქციის, ვრანგელის, გამარჯვება არის რეაქციის გამარჯვება არა მარტო ბოლშევიკებზე, არამედ ჩვენზედაც. ვრანგელი მოსკოვში—ნიშნავს ვრანგელი თფილისში. ეს უნდა იცოდნენ ჩვენმა ამხანაგებმა, უნდა იცოდნენ ყველამ და ამ პოზიციას არ უნდა გადაცდეთ.

სამწუხაროდ, ჩვენში ასეთები ბევრნი არიან. შეიძლება ისინი არ იყვნენ ჩვენ პარტიაში, მაგრამ სხვა პარტიიდან არიან, რომელნიც ვრანგელს ეარშიყებიან და ფიქრობენ აქედან რამე კაპიტალი შეიძინონ.

გვარდიამ, განსაკუთრებით ფრონტებზე უნდა მიაქციოს ამას განსაკუთრებით ყურადღება და არავითარი, ასე ვთქვათ, ვრანგელურ მიმართულებას ჩვენ ფრონტზე ადგილი არ უნდა ჰქონდეს.

(ვ. ჯუღელი: ამ მხრივ ჩვენ დასტრახული ვართ).

მაშასადამე, გამარჯვება ვრანგელისა არის იმავე დროს ჩვენი დამარცხება, მაგრამ შეუძლია მას გამარჯვება? შეიძლება ჩვენ უტოპისტები ვართ, შეიძლება ისეთ რამეს ვაკეთებთ, რომ ხვალვე ის უნდა დაიქცეს. თუ კი შეიძლება ვრანგელის გამარჯვება რუსეთში, მაშინ თავის-თავად ცხადია, რომ ჩვენი საქმე დაღუპულია.

მაგრამ მას ეს არ შეუძლიან, არ შეუძლიან იმიტომ, რომ აქ, ამ ბრძოლაში, რომელიც დღეს სწარმოებს რუსეთში, იღებენ მონაწილეობას სხვადასხვა კლასები, ეს კლასიური ბრძოლაა. მაშასადამე, მოსკოვის მთავრობას უნდა დაუპირდაპირდეს რომელიმე კლასი, ისეთი მაგარი, რომ ამ მთავრობის ჩამოგდება შეეძლოს. ვინ არის ეხლა ასეთი კლასი? არის თუ არა ვრანგელის გარშემო ასეთი კლასი? მე ვამბობ, რომ მის გარშემო ასეთი კლასი არ არსებობს. ძველი ფეოდალური კლასები ისე ძირიან დარღვეული, რომ არავითარ კლასს არ წარმოადგენენ. მას მამული და ძალა არა აქვს და მხოლოდ თითო-ოროლა პირი შეიძლება იყოს მათ იდეოლოგათ, მაგრამ როგორც სოციალური ძალა, ის არ არსებობდა. მაშასადამე ამ კლასს არ შეუძლია მისცეს ვრანგელს ის ძალა, რომელიც მისთვის არის საჭირო.

ძველი ბურჟუაზიაც დღეს რუსეთში სავსებით დანგრეულია. მას დაემართა ისეთივე საქმე, რაც დაემართა ფეოდალურ კლასს, ამათ, რასაკვირველია, არ შეუძლიათ ვრანგელის გარშემო მოიკრიბონ თავი, იმიტომ რომ, ის რასაც ჰქვიან „რუსეთის ბურჟუაზია"—ის სცხოვრობს სხვადასხვა უცხო ქვეყნებში, არ წარმოადგენს ერთ მთლიან ეკონომიურ ძალას. იმათგან არიან ასე ვთქვათ მოღვაწეები, ისინი რასაკვირველია არიან ვრანგელის გარშემო, მაგრამ ისინი ვერ გასწევენ თავის კლასის როლს.

მაშასადამე, ვრანგელის გარშემო თავს იყრის ძველი დამარცხებული კლასის მოღვაწენი, თითო-ოროლა ცნობილი პირები, მაგრამ მის გარშემო თავს არ იყრის არც ერთი კლასი ისეთი ძლიერი, რომ მან შესძლოს ისეთი საქმის გაკეთება, როგორიც არის დამარცხება მოსკოვისა. აქ შეიძლება ვილაპარაკოთ ერთად ერთ კლასზე, რომელიც უეჭველად წარმოადგენს დიდ ძალას. ეს არის გლეხობა. და თუ გლეხი მიემხრო ვრანგელს, მაშინ თავის-თავად ცხადია, რომ ადვილად შეიძლება ვრანგელის გამარჯვება. მაგრამ მე ვამბობ, რომ ეს არ შეიძლება. არ შეიძლება იმიტომ, რომ ვინაიდან ვრანგელის გარშემო მთელი მისი ამალა, მთელი მისი ძალა არის შემდგარი ძველი დამარცხებული კლასების ხალხისგან, ძველი თავად-აზნაურობისაგან, რომელთა ინტერესები ეწინააღმდეგებიან გლეხობის ინტერესებს, თავის თავად ცხადია ვრანგელს არ შეუძლიან მოათავსოს, შეათანხმოს ამ დამარცხებულ კლასის და გამარჯვებულ გლეხობის ინტერესები. ამიტომ ორში ერთი უნდა მოხდეს: ან უნდა იყოს გლეხის გენერალი—დამცველი, ან უნდა იყოს ის, რაც არის დღეს. მას არ შეუძლიან გლეხების გენერალი იყვეს იმიტომ, რომ გლეხები ადგანან უეჭველად რევოლიუციონურ გზას, მაშინ, როდესაც ამაზე არ დგას და არც შეიძლება იდგეს არც ვრანგელი, არც მისი ამალა და მთავრობა. მართალია, ჩვენ ვიცით ისტორიაში მაგალითი, როდესაც გლეხებს ჰყავდათ თავისი გენერალი და ამ გენერალს იმპერატორის ტიტულიც მიანიჭეს. ეს იყო ნაპოლეონი, მაგრამ ნაპოლეონი იყო შვილი რევოლიუციისა, ის არ იყო შვილი რეაქციისა, მას არავითარი კავშირი არ ქონდა ძველ დამარცხებულ კლასთან. იმან შექმნა ახალი არისტოკრატიული წოდება, მაგრამ ისინი იყვნენ ახალი ხალხი, ისინი იყვნენ იგივე გლეხები და მეშჩანები, მხოლოდ მათ ჩინი მისცა მან, ზოგს დაარქვა მარშალი, და ზოგს მარკიზი, თავის თავად ცხადია არავითარი მსგავსება არ შეიძლება ნაპოლეონისა ვრანგელთან.

აი ეს, რასაკვირველია, არ ესმით ევროპის ზოგ სახელმწიფო მოღვაწეთ. შეიძლება ესმით ასეთი მდგომარეობა, მაგრამ მაინც ძველ ტრადიციულ ანტიბოლშევიკურ პოლიტიკას ვერ ივიწყებდნენ. ეს რომ ასე ესმოდეს ინგლისს, ის მილიონ სტერლინგებს არ გადაყრიდა უნაყოფოდ. ამ საკითხზე ჩვენი აზრი სრულიად ნათელი არის. ჩვენ ვართ, მაშასადამე, წინააღმდეგი რუსეთის ბლოკადისა, ვართ წინააღმდეგი ამ შინაგანი სამოქალაქო ომისა და ვართ მომხრე იმისა, რომ რუსეთი ჩადგეს განვითარების ნორმალურ კალაპოტში და მაშინ შეიქმნება ბოლშევიკების შინაგანი ევოლიუცია და ბოლშევიზმი მაშინ მიიღებს თანდათან იმ სახეს, რაც უნდა აუცილებლად მიიღოს, თუ სურს იარსებოს. რუსეთმა ამ რევოლიუციის საშუალებით უნდა აკეთოს ის, რასაც ვაკეთებთ ჩვენ. თუ არ უნდა არსებობა, მაშინ, თავისთავად ცხადია, მათ შერჩებათ ის მეთოდები, რაც არის ეხლა. როცა იქ არ იქნება ომი, როცა მიეცემა საშუალება რუსეთს თავისუფლად ივაჭროს ევროპაში, მაშინ ბოლშევიზმის უკანასკნელი ზარი დარეკავს და მაშინ შეიძლება სოციალისტურ-დემოკრატიულ პოლიტიკის განმტკიცება.

მაშასადამე, ასეთი არის ჩვენი პოზიცია ამ საკითხში.

ამნაირად ჩვენი საგარეო მდგომარეობის წარმოდგენა და ამ ჭაობში ერთი მეორის ინტერესების შეხლა-შემოხლის დროს პოზიციის ნახვა ამავე დროს არის ჩვენი სწორი პოლიტიკის წარმოება და ამაში არის ჩვენი ხსნა. თუ ჩვენ ამდენ ხანს გავძელით, ეს არა მარტო იმისთვის, რომ ჩვენ გვქონდა მახვილი ხმალი, არამედ იმისთვისაც, რომ ჩვენ გვქონდა სწორი პოლიტიკა. როცა ჩვენ საგარეო მდგომარეობას ვერ გავიგებთ სწორად და ჩვენ ამ შეხლა-შემოხლაში დავიჭერთ ისეთ ადგილს, რომელიც არ უნდა დავიჭიროთ, როგორც ეს ემართება ერთ ჩვენ მეზობელ სახელმწიფოს,—მაშინ თავისთავად ცხადია, ჩვენ ჩავარდებით უარეს მდგომარეობაში, ვინემ ის არის. ამიტომ ჩვენი განვითარების უზრუნველსაყოფად საჭირო არის, რომ მთელი ჩვენი გვარდია, მთელი ჩვენი პარტია,—სოც.-დემოკრატიული და აგრეთვე ის ჯგუფები, ვინც ამ პარტიას მისდევენ, უეჭველად იდგნენ ერთ გარკვეულ საგარეო და საშინაო პოზიციაზე. ის საგარეო პოზიცია, რომელიც ჩვენ გვაქვს, ეს ჩვენ უნდა გვქონდეს არა მარტო თავში, არამედ უნდა გავატაროთ ცხოვრებაში. ეს ჩვენი საშინაო ტკივილები, რომელიც ჩვენ გვაქვს დღეს, ეს ტკივილები უნდა განვკურნოთ. ჩვენი საშუალებით და ჩვენივე იარაღებით. არავინ დღეს ჩვენ არ გვიშველის. ყველა სახელმწიფოს აქვს თავისი სატკივარი, თავისი დავიდარაბა, არავის არ სცალიან ჩვენთვის, მარტო ჩვენ უნდა ვიყვეთ ჩვენ საგარეო და შინაურ პოზიციაზე ფხიზლად დამდგარი. ჩვენი ბედი არის ჩვენ ხელში და ამ საქმეში პირველი ადგილი უკავია ჩვენ სახელოვან სახალხო გვარდიას. (მხურვალე ტაში და ოვაციები).

ეროვნული ბიბლიოთეკა

იურიდიული კონსულტაცია.

სეკრეტარიატმა დაადგინა: მიღებულ იქნას იურისტთა წინადადება მუშა-მოსამსახურეთათვის უფასო იურიდიულ დახმარების ორგანიზაციის შესახებ. იურიდიული კონსულტაცია მოთავსებული იქნება ცენტრალურ მომრიგებელ კამერის ბინაზე. მორიგეობა შემოღებული იქნება ორშაბათობით და ოთხშაბათობით დილის 11-დან 1 საათამდე.

კოოპერატიულ და პროფესიონალურ მოძრაობის კურსების გახსნისათვის.

მოისმინა რა ამხ. აბდუშელიშვილის მოხსენება აღმასრულებელ კომიტეტის მიერ განზრახულ კოოპერატიულ და პროფესიონალურ მოძრაობის კურსების ქალაქ გარეშე მცხოვრებ მსმენელთათვის საერთო საცხოვრებელ ბინის მიცემის აუცილებლობის შესახებ, სეკრეტარიატმა დაადგინა: შუამდგომლობა აღძრას ქალაქის გამგეობის წინაშე დაუთმოს ამ მიზნისათვის შესაფერისი ბინა.

ამასთანავე ერთად დადგენილ იქნა დროებით არ დაკმაყოფილდეს კავშირთა შუამდგომლობა მუშათა სასახლეში ბინის მიცემის შესახებ.

მკერავ ქალების შრომის არტელის ტარიფის შესახებ.

სეკრეტარიატმა დაადგინა მხარი დაუჭიროს „ნემსის პროლეტარიატის" შუამდგომლობას სატარიფო პალატის წინაშე, მკერავ ქალთა შრომის არტელის სამუშაო ქირის გადასინჯვის შესახებ, რომ ის გადიდებულ იქნას 50 პროცენტით. ამ დროებით მკერავ ქალთა ნაქირობითი სამუშაო ქირა იმდენათ მცირეა, რომ განუწყვეტელ მუშაობასთან მკერავ ქალთა სამუშაო ქირა არ აღემატება 300 მანეთიდან 1000 მანეთს თვეში. სასურსათო ფონდიდან ისინი პურს არ ღებულობენ.

ქუთაისის მუშათა მაგიდა

ამა წლის მაისის პირველ რიცხვებში ქუთაისში დაარსდა მუშათა მაგიდა. პირველ ხანებში მას მუშები არ აკუთვნებდენ დიდ მნიშვნელობას. მაგრამ სულ მცირე ხნის განმავლობაში მის გარშემო შემოიკრიბა, როგორც სახელმწიფო, ისე საზოგადო და კერძო წარმოებათა და დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურენი და ამგვარათ მუშათა მაგიდა ფართო მასშტაბით ჩაერია ჩვენი ეკონომიური ცხოვრების მოწესრიგება-მოგვარების საქმეში. უკანასკნელ ხანებში კი, როდესაც ჯამაგირების მომატებამ და ხელფასის გადიდებამ დაჰკარგა ყოველგვარი მნიშვნელობა, ფულის ნიშნების ღირებულების სწრაფი დაცემის გამო, მუშა-მოსამსახურეებში განმტკიცდა იდეა ხელფასის ბონების მაგიერათ ნატურით მიღებისა,—მაგიდა შეიქმნა ისეთი დაწესებულება, რომლის მოქმედებასთან მჭიდროთ არის დაკავშირებული არსებობის შენარჩუნება და ამიტომ, თავის თავათ ცხადია, მთელი ყურადღება მუშათა კლასისა მისკენ არის მიქცეული. დღეს დღეობით საკმარისია რამოდენიმე დღით შეჩერდეს პურის დარიგება, რომ მუშა-მოსამსახურენი მეტად ცუდ მდგომარეობაში ჩავარდებიან და არსებული მცირე ჯამაგირებით გაუძნელდებათ მისი გამოსწორება. ყველასთვის აშკარაა ის ფაქტი, რომ მუშა-მოსამსახურენი უარყოფითათ უყურებენ ჯამაგირების გადიდებას და ამით ისედაც ფას დაკარგულ ბონების კიდევ გამრავლებას; მაგრამ ამავე დროს ხსნას ვხედავთ ნატურით დაკმაყოფილებაში და მუშათა მაგიდა, რომლის საშუალებით ვღებულობთ სურსათ-სანოვაგეს, დიდ ფაქტორათ გადიქცა ჩვენი ეკონომიური ცხოვრების მოწესრიგების საქმეში. ამ შემთხვევაში, თუ მან ვერ გაამართლა ჩვენი იმედები სურსათის მოწოდებით, რაც შესაძლებელია ქუთაისის მაგიდის მოქმედებაში, მეტად საძნელო გახდება არსებული ეკონომიური კრიზისის გადატანა. ქუთაისის მაგიდის დაარსებიდანვე ხელმძღვანელობს შრომის კომისარი. არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ მან ენერგიულათ მოჰკიდა ხელი ამ საქმეს და ყოველივე ღონეს ხმარობს საქმის სასურველ ნიადაგზე დასაყენებლათ. მაგრამ ამ საქმეს შრომისა და მომარაგების სამინისტროების მხრივ არ ექცევა სათანადო ყურადღება. მაგალითათ: აგვისტოს თვეში მაგიდიდან პური არ მიგვიღია 18 დღის განმავლობაში; ასეთივე მდგომარეობა იყო სეკტემბერში და არის ოკტომბერშიაც. მიუხედავათ იმისა, რომ შრომის კომისარი ყოველდღიურათ ატყობინებს ამ მდგომარეობას შრომის და მომარაგების სამინისტროს,—მათ მხრივ დღემდე ვერ ვხედავთ ჩვენ რეალურ დახმარებას ამ არანორმალობის გამოსასწორებლათ. უკანასკნელ ხანებამდე მუშა-მოსამსახურენი ითმენდენ და უცდიდენ საქმის გამოსწორებას, მაგრამ როდესაც იმედები არ გამართლდა, ბოლოს კატეგორიული მოთხოვნილებაც კი წარუდგინეს შრომის კომისარს,—რომ, თუ არსებობს მაგიდა, მან უნდა მისცეს დანაპირები, ან და სრულიად გაუქმდეს. აუცილებელი საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს ქუთაისის მუშათა მაგიდას. საჭიროა მომარაგების და შრომის სამინისტროები თავ-თავის დროზე უგზავნიდენ მათ სურსათ სანოვაგეს; აგრეთვე ზედმეტი არ იქნება, ორი კვირის მარაგიც, რომ ჰქონდეს მას. ამასთანავე საზიანო არ იქნება არც ის, თუ შრომის კომისარს მიეცემა უფლება და მასთან საჭირო თანხაც ადგილობრივ და მახლობელ სოფლებში სურსათის შესაძენათ. თუ ყოველივე ამას თავისდროზე მიექცევა ყურადღება, შესაძლებელი გახდება საქმის გამოსწორება და ამით მდგომარეობა შეუმსუბუქდება უკიდურეს გაჭირვებაში მყოფ მუშა-მოსამსახურეებს

კლემენტი.

ს.-დ. პარტიაში

სოფ. საზუე. (თელავის მაზრა). აქაური სოფლის საქ. სოც. დემ. მ. პ. ორგანიზაცია შესდგება 77 წევრისაგან, რომელ რიცხვიდანაც 14 ოკტომბრის ს/წ. კრებას დაესწრო 55 წევრი. მოხსენება გააკეთა ცენტრალურ კომიტეტის წევრმა ილია ბადრიძემ, რომელმაც კრებას განუმარტა და გააცნო მთავრობის და ცენტრალური კომიტეტის მუშაობა და აუხსნა, აგრეთვე, სოფლის ორგანიზაციის და სამაზრო კომიტეტის მუშაობის და გაძლიერების მნიშვნელობა. იქონია, რა კრებამ მსჯელობა, დაადგინა: 1) მიესალმოს მთავრობის და ცენტრალური კომიტეტის მუშაობას და უსურვოს მათ შემდეგშიაც გონივრული პოლიტიკის წარმოება დემოკრატიის გასაძლიერებლად. 2) ვინაიდან ამ წლის განმავლობაში სამაზრო კომიტეტს არ გადაუდგამს ნაბიჯი ორგანიზაციების გასაფართოვებლად და ხალხის მომზადებისთვის და განვითარებისათვის არ მიუქცევია ყურადღება, საჭიროდ იყოს მოწვეული სამაზრო პარტიული კონფერენცია, რომელზედაც გამომუშავდება მომავალი მუშაობის გეგმა, რითაც გაორკეცდება მუშაობა როგორც მაზრის ცენტრში, ისე სოფლად.

თავმჯდომარე ი. ქორქაძე, მდივანი აბაშაძე.

სად. მუხიანი. 26 სექტემბერს შესდგა ს. ს.-დ. მუშ. პ. წევრთა საერთო კრება. განსარჩევი საკითხები იყო: საწევრო გადასახადის გადიდება, გვარდიის შედგენა და კულტურული მუშაობა. პირველ საკითხზე მსჯელობის დროს გამოირკვა, რომ წევრები პარტ. გადასახადს დროზე არ იხდიან, თან გადასახადი ძალიან მცირეა, ამიტომ დადგენილ იქნა: გადიდებულ იქნას გადასახადი თვიურათ 10 მანეთამდი და წინადადება მიეცეს წევრთ წინადადების მიხედვით იხადონ ის. მეორე საკითხზე მოხსენება გააკეთა პრეზიდიუმის წევრმა და აღნიშნა, რომ საჭიროა მუხიანში დაარსდეს სახალხო გვარდია და ეთხოვოს სამტრედიის საოლქო შტაბს, რომ მუხიანში დაარსოს ქვე-რაიონული შტაბი. კრებამ დაავალა კოლექტივს შეადგინოს გვარდია ისეთი პირებისაგან, რომლებიც პარტიაში მუშაობენ და ჯარისკაცობა არ ეხებათ და ეს ეცნობოს სამტრედიის შტაბს. რაც შეეხება კულტურულ მუშაობას, კოლექტივი ამ მხრივ ნაკლებ უნარს იჩენს, რისთვისაც დაავალა მას კრებამ დღეიდან გააცხოველოს მუშაობა: მოაწყოს წრეები, გავრცელოს პარტიული გაზეთები, მიაქციოს მეტი ყურადღება სამკითხველოს, კოოპერატივს, სკოლას და მუშაობაში ჩაიბას ადგილობრივი მასწავლებლები.

ს. ხზვიშვილი.

მუშათა შორის

ტყიბულის მაღაროები. 20 ოქტომბერს მოხდა ტყიბულის მაღაროების მუშა-მოსამსახურეთა საზოგადო კრება. კრების თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ამხ. ს. მეხუზლა. მდივნათ გ. დარსაძე. განსახილველი იყო შემდეგი საკითხები: 1) მუშათა დელეგაციის რუსეთში არ შეშვების შესახებ, 2) მოხსენება ქუთ. რაიონის კოოპ. წარმომად. ყრილობაზე დამსწრე დელეგატისა, 3) 18 000 არშ. ბუმაზეის შეძენა ნახშირზე გადაცვლით, 4) მიმდინარე კითხვები.

პირველი კითხვის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. დ. ხაფთასი. კრებას გამოაქვს შემდეგი რეზოლუცია: „მოისმინა რა ცნობა საქართველოს პროლეტარიატის მიერ არჩეულ მუშათა დელეგაციის რუსეთში არ შეშვების შესახებ ბოლშევიკურ მთავრობის მიერ; მიიღო რა მხედველობაში, რომ ამით ბოლშევიკურ მთავრობას სურს ხელი შეუშალოს რუსეთის და საქართველოს პროლეტარიატის შორის მჭიდრო კავშირის გაბმას, რომ ასეთი აკრძალვა სოვნარკომის მიერ ნაკარნახევია იმის შიშით, რომ საქართველოს პროლეტარიატის წარმომადგენლებს თავისი თვალით არ დაენახათ „ბოლშევიკური სამოთხე", რომელსაც ისინი ამყარებენ რუსეთში და ფიქრობენ სხვა ქვეყნებშიაც გადანერგონ, მათ ნამდვილ და ნებაყოფლობით ინტერნაციონალურ ნიადაგზე გაერთიანებულ მუშათა კლასისა, რომ საბჭოთა მთავრობამ საშუალება მოუსპო გაეცნობოდნენ ერთი მეორის ნამუშევარს ორი ქვეყნის მუშათა კლასები, ლიდებინათ ძმური კავშირი და გამოენახათ საერთო გზა საბოლოო მიზნების განსახორციელებლათ, კრება—გამოსთქვამს იმედს რომ რუსეთის პროლეტარიატი სოვნარკომის გარეშე ჰპოვებს საშუალებას ამ ორი ქვეყნის პროლეტარიატის წარმომადგენლებს შეახვედრებს საქართველოს ტერიტორიაზე, სადაც ჩვენი პროლეტარიატისაგან იქნებიან ისინი მიღებულნი, როგორც სწორი, სწორის მიერ, როგორც დიდი ხნის თანამებრძოლნი და სასურველი სტუმრები".

მეორე კითხვაზე მოხსენებას აკეთებს ამხ. პ. გოგუაძე, რომელიც აცნობს კრებას ყრილობაზე მიღებულ რეზოლუციებს და, სხვათა შორის, აცნობს კრების ერთ დადგენილებას,—სახელდობრ სახელოსნოს გახსნის (საჭრაზოს) შესახებ. და ამბობს, რომ რაიონული კავშირი ხსნის სახელოსნოს, სადაც იმუშავებს ჯერ ჯერობით 100 კაცი. სახელოსნოს სჭირდება 5,000,000 მანეთი რომელიც უნდა შეიტანოს რაიონში არსებულმა ყველა კოოპერატივებმა და აგრეთვე რაიონს დაახლოვებულმა კოოპერატივებმა—თითო წევრზე სისხათ 100 მან. კრებამ მიიღო ეს წინადადება და დაადგინა ყველა წევრმა გადაიხადოს 100 მან.

შემდეგ ამხ. ს. მეხუზლა აცნობს კრებას, რომ ჩამოსულია კერძო ვაჭრები, რომლებიც გვაძლევენ ნახშირზე გადაცვლით 18,000 არშ. ბუმაზეიას. ნახშირი უნდა დამუშავდეს ზედმეტი მუშაობით, რომლის დამუშავებაც შესაძლებელია ორ ან ორ დღე ნახევარში. ამ კითხვას ვრცლათ უმარტავს კრებას ამხ. დ. ხაფთასი. კრებამ გამოსთქვა სურვილი, რომ შეძენილ იქნას ბუმაზეია და იმის გამოსარკვევათ, თუ როგორ დამუშავდეს გადასაცვლელი ნახშირი, არჩეულ იქნეს კომისია ხუთი კაცისაგან შემდგარი. აქვე კრებამ აირჩია 4 კაცი და ერთიც უნდა აირჩიოს მუშათა კავშირის გამგეობამ.

„ზეგი".

პროვინცია

ზეკარის თემი. (ბაღდათის რაიონი) 28 ივლისს დილის 11 საათზე შესდგა ზეკარის თემის კრება. ს. ს.-დ. მუშათა პარტიის ქუთაისის სამაზრო კომიტეტის დავალებით ამხანაგმა დ. ჩხაიძემ დაწვრილებით ვრცლად აუხსნა საბჭოთა რუსეთის პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობა, განუმარტა აგრეთვე ხალხს საზოგადოთ მავნებლობა ადგილობრივად ცრუმორწმუნეობის გავრცელებისა, რომელიც პოლიტიკურად და ეკონომიურად ხალხს აქვეითებს. ხალხი მომხსენებელს ყურადღებით უსმენდა. კრებამ ერთხმად დაგმო პარასკევობით და შაბათობით უმუშევრობა (ეს დღეები მათ შეწირული ჰქონდათ ღმერთზე) და ვინც ხელს შეუშლის ამ დღეებში მუშაობას, ის დაჭერილ და პასუხისგებაში იქნეს მიცემული. შემდეგ იყო შეკითხვები, რომ ადგილობრივად მცხოვრებნი დიდ გაჭირვებას განიცდიან უქმობის გამო. მწვავედ დგას აგრეთვე მიწის ჩამორთმევა-დარიგების საკითხი,—არ არის გატარებული აგრარული რეფორმა, სიმინდი ფუთი 1500 მ. ღირს. სიმინდის მოსავალი წელს ნაკლებია. სკოლის შენობას სახურავი გადამძვრალი აქვს და წვიმისაგან მთელი შენობა ლპება. საჭიროა ამ სოფელს დროზე მიექცეს ყურადღება ვისგანაც ჯერ-არს. დასასრულ კრება დიდი სიხარულით და აღფრთოვანებით გამოსთქვამს ულრმეს მადლობას ხალხის ნების გამომხატველ დამფუძნებელ კრების და მის წინაშე პასუხისმგებელ მთავრობის მიმართ.

მ. წ—ძე.

სოფ. თამაკონი. (სენაკის მაზრა) ამ მოკლე ხანში ს. თამაკონში, ექიმ გიორგი გამყრელიძეს ხელმძღვანელობით ადგილობრივი სცენის მოყვარეთა მიერ გამართა საღამო წარმოდგენით. წარმოდგენილ იქნა აკაკი წერეთლის „პატარა კახი". წარმოდგენას აუარებელი ხალხი დაესწრო; ხალხი დიდი კმაყოფილი დარჩა. წმინდა შემოსავალი ამ წარმოდგენის იყო 14000 მდე, ეს ფული გადაიდო ამავე სოფლის სამკითხველოს სასარგებლოდ. ღრმესი მადლობის ღირსნი არიან ბ-ნი გამყრელიძე და სცენის მოყვარენი. იმედია, ხშირად გამართავენ წარმოდგენას.

გრიშა კაკულია.

წერილები რედ. მიმართ

ლევან ციმაკურიძემ თავის ამხანაგების შორის შეკრიბა 2,222 მანეთი და გადასცა სოფელ ვიშხეთის (გორის მაზრაში) სამკითხველოს, რისთვისაც დიდ მადლობას ვუძღვნით შემომწირველებს.

გამგეობა.

ამხ. რედაქტორო! გთხოვთ ადგილი დაუთმოთ ჩემს შემდეგ განმარტებას ჩემი წერილების გამო თფილისის სადარაჯო ათასეულში კულტურული მუშაობის შესახებ. („ერთობა", №№ 241, 245).

მას შემდეგ, რაც პირადათ გავეცანი სექციის საბუთებს (სამკითხველოს დავთრებს და სხვა) და მუშაობას, დავრწმუნდი, რომ იყო დღეები (24 აგვისტოდან 7 ოქტომბრამდის), როცა სადარაჯო ათასეულს კულტურა-განათლების სექციიდან მოსდიოდა ქართული გაზეთები მხოლოდ ოთხ-ოთხი ცალი და მათი დარიგება ხუთ გუნდში, მესაკრავეთა ჯგუფში და ცენტრალურ სამკითხველოში, ყოვლად შეუძლებელი იყო. ყველა გუნდს რომ თითო ცალი გაზეთი მიეღო, ამისთვის საჭირო ყოფილა 7 ცალი. ათასეულს კი 7 ოქტომბრამდე მოდიოდა ოთხი ცალი. როგორც გამოირკვა საქმეებიდან, კულტურული მუშაობა ათასეულში შესაფერ სიმაღლეზე სდგას და ჩემ მიერ წინა წერილში მოხსენებული ცნობები გაუგებრობით იყო გამოწვეული. ამის შემდეგ მე დარწმუნებული ვარ, რომ თფილისის სადარაჯო ათასეულის კულტურული წრე თავს დაკმაყოფილებულათ ჩასთვლის და სამედიატორო სასამართლო, რომელშიც ხსენებულმა წრემ გამომიწვია და მეც გავყევი („ერთობა", № 45) საჭირო არ იქნება.

ჯიბელაპირელი.

პასუხათ ბ. ბ. ჩხიკვიშვილს.

„ერთობის" მე 237 ნომერში მოთავსებულია საუბარი ბათომის ოლქის საგ. კომისარის, ბ-ნ ჩხიკვიშვილის თქვენ პატივცემულ გაზეთის კორესპონდენტთან, რომელშიაც სხვათაშორის მიხება მე და აცნობს საზოგადოებას, „თუ რამდენი ულირსი მოსამსახურე მოიშორა მან ბათომიდან". ამ ულირს მოსამსახურეთა რაცხვში თურმე მეც ვყოფილვარ. ამიტომ საჭიროთ ვრაცხ გავამჟღავნო სიმართლე და განვაცხადო შემდეგი: ბათომის ჩვენს ხელში გადმოსვლისას მე თფილისის მილიციის უფროსის თანაშემწის ადგილიდან მივლენილ ვიყავი ბათომის მილიციის უფროსათ. თუმცა ბ-ნ ჩხიკვიშვილს ბათომში წასვლაზე ორჯერ კატეგორიული უარი უთხარი, მაგრამ ბოლოს დავთანხმდი და ამ თანამდებობას ვასრულებდი რაც ძალა და ღონე მქონდა იმ დღემდი, სანამ ბ-ნ ჩხიკვიშვილმა ინება და სრულებით უსაბუთოთ—პირადათ ჩემ მიერ მიზეზ მიუცემლად—დამაბრუნა თფილისში ჩემ პირველ თანამდებობაზე სამსახურში. მე ვკითხები ბ-ნ ჩხიკვიშვილს, როდესაც ის ჩემ შესახებ ყრუ სიტყვა „ულირსს" ხმარობს, სტოვებს ის, თუ არა მკითხველზე სულ სხვა და ცუდ შთაბეჭდილებას ჩემ შესახებ? ანდა, თუ მე „ულირსი" ვიყავი, რად მაბრუნებდა ისევ ჩემ წინანდელ სამსახურში! მას ბრძანებაში № 11, 8 სექტ. სწერია რომ მე მივლინებული ვარ ხელახლად თფილისში „სასამსახუროდ". მაგრამ მე მაინც მინდოდა გამეგო მიზეზი ჩემი ხელახლა გადმოყვანისა თფილისში და მივმართე პარტიულ კომიტეტს ბათომში, რათა მოეთხოვათ ახსნა ბ-ნ ჩხიკვიშვილისაგან, თუ რას მაბრალებდა ის მე. ვაცხადებ, რომ მას **ბრალდება არავითარი არ წამოუყენებია.** რაკი ასე დადგა საკითხი, ცხადია, მის, როგორც უფროსის, ადმინისტრატიულ განკარგულებაში ჩემი გადმოყვანის შესახებ კომიტეტი ვერ ჩაერიოდა; ამ საკითხის შესახებ კომიტეტის რეზოლუციაც სწორედ ასეთია. მაგრამ იქ ერთიც გარკვევით არის აღნიშნული: „ამხ. ე. იმნაიშვილის წინააღმდეგ არ არის წამოყენებული რაიმე ისეთი ბრალდება, რომელიც ჩირქს სცხებდეს მის პიროვნებას ზნეობრივის მხრივ". (ამონაწერი კომიტეტის დადგენილებიდან, № 110 10 სექტ.) ყოველივე ამის შემდეგ მე მკითხველისთვის მიმინდვია განსაჯოს, რამდენად სინამდვილეს შეეფერება ის, რასაც ჩემ შესახებ ბ-ნი ჩხიკვიშვილი ამბობს. რევოლუციის პირველი დღეებიდან (1917 წ. მარტი) ვემსახურები მილიციაში და ვასრულებ ჩემ მოვალეობას, რაც ძალა და ღონე მაქვს. მე ყოველთვის ჩემ პოსტზე ვდგევარ. ეს 4 წელი თავდება და ჩირქი არაფერში არ მომცხებია.

ამასთანავე ვადგენ ზემოხსენებულ დოკუმენტების ასლებს.

ეპიფანე ბ. იმნაიშვილი.

რედაქტორი ლევან ნათაძე

განცხადებანი

იყიდება ცხენები საჯარო ვაჭრობით

კვირას, 31 ოკტომბერს, 12 საათ. (ელისაბედის ქუჩა 196). თფ. სამაზრო ერობის ტეხნიკური განყ—ბა.

(3504 1—1)

26 ოკტომბერს, გორიდან თფილისში სავაჭროდ წამოვიდა

ალექსანდრე სარქისის ძე

ქსავერელი

და უკან არ დაბრუნებულა. თუ ვინმემ რამე იცის ან გაიგოს ზემოდ ნახსენები პირის შესახებ ვსთხოვთ გვაცნობოს შემდეგი ადრესით: ს. ახალქალაქში, გიორგი სტეფანეს ძე ასლამაზოვს.

(3505 1—1)

ბართლომე პავლეს ძე ჩხაიძეს

დაეკარგა

მოწმობა სამხედრო ბეგარასთან დამოკიდებულების შესახებ. მოწმობა ითვლება გაუქმებულად.

(კდ3. 1011 1—1)

უ. უმ. გიმნაზ. დამთავრ. და გამგე

ი. მ. მაჩაიძე, მათემატიკის

მასწავლებელი

ამზადებს ბავშვებს და მოზრდილთა მოწმობაზე 1, 2, 3, 4, 5, 6. კლ. შესასვლელად—საშუალო და უმაღ. დაწყებითი სასწავლ. აგრეთვე ასწორებს ჩამორჩენილ მოწაფეებს მატემატიკაში ენებში და სხვა საგნებში. პლეხანოვის ქ. 25 (შესავალი ალექსის ქ. კუთხიდან). 3—1 ს. 3—5 ს. (3483—6—3)

დოქტორი

გ. გ. მეგრაბიანცი

შინაგანი ავადმყოფობა—ფილტვი და გულისა. იღებს ახალს რენტგენ-ელექტრო კაბინეთში, გამოკვლევა და წამლობა სხივებით. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92, მიღება ყოველ დღე 9—12 და საღამოს 6—8 საათამდე.

11 დეკ.

თვალის ექიმი

ზ. მ. ცხვედაძე

ავადმყოფების მიღება ყოველდღე 1 ს.—4 ს. იზმაილოვის ქუჩა № 11 მოსკოვის ქუჩიდ. 6 პირველი შესახვევი. (1—დეკ.)

ქირურგიული და ქალთა სნეულების

საავადმყოფო

სამშობიარო განყოფილებით ექიმის

ზოკერიასი

(პლეხანოვის პროსპ. № 141), სამხედრო სასწავლებლის პირდაპირ, ტელეფ. № 5—97) დასაწოლ ავადმყოფებს და ფეხმძიმე ქალებს იღებენ ყოველ დროს სრული პანსიონით. (23—ნოემ.)

ექიმი მ. ა. მაჩრაძე

სპეციალურად სიფილისი და [illegible] (შეზხაპუნება „606" და „914") ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—1 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალებს 4—6 ქვირაობით მხოლოდ დილით. მიხაილოვის ქ. № 23. 21 ნოე.)

კბილის ექიმი

ე. ტ. ლორის-მელიქოვი ჯიმშაძისა

ღებულობს კბილის ტკივილით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდე, ანასტასიევის ქუჩა № 13, ტელეფონი 3—63

ექიმი

გ. ნ. მაგაკიანი

შინაგანი და ბავშვების სნეულებანი, სპეციალურად მუცლის—კუჭის, ნაწლავების და სხ. ავადმყოფების მიღება ყოველდღე დილის 10—11 საათ. და საღამოს 5—7 საათ. ტელეფონი № 4—21. ბებუთოვის ქ. № 38. (26 ნოემბ.)

ექიმი

ი. ი. ჭეიშვილი

სიფილისი (შეზხაპუნება „606" და „914") ვენერიული (ტრიპერი) და კანის სნეულებანი. იღებს ავადმყოფებს დილის 8—10 ს. და საღ. 5—7 ს. ქალებს 4—5 საათ. დიდი მთავრის ქუჩა № 72 ალექსანდროვის საავადმყოფოს პირდაპირ. (21 ნოემ.)

კერძო სამკურნალო

სპეციალურად ვენერიულ, საშარდე ორგანოების, სიფილისით და კანის სნეულებით ავადმყოფთათვის

ექიმი

ე. მ. მეინარიშვილისა

შეზხაპუნება „606" და „914". ავადმყოფების მიღება ყოველ დღე 9—2 ს. და საღ. 4-8 ს. ფასი 100 მ. ღარიბისათვის უფასოდ 12—2 ს. მისამართი—კუთხე პლეხანოვის (მიხეილის) პროსპექტისა და კირჩის (კირპიჩნი) ქუჩა № 22. ტელეფ. 10—87. (1-ნოემ.)

ექიმი

სოლომონ ისაკის ძე ვოლოხი

(ქუთაისიდან)

იღებს ქალისა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს დილით 12—2 ს. საღ. 5—7 ს. ბელგიის ქ. № 5. ტელეფ. 10—55. (18—ნოემ.)

ექიმი

გენრიხ ისაკის ძე ვოლოხი

(ქუთაისიდან)

ღებულობს ყურის, ცხვირის და ყელის სნეულებიან ავადმყოფებს დილ. 12—1 ს. საღ. 3—6 ს. პლეხანოვის პრ. № 76 ([illegible]), ტელეფონი 7—88. (16—ნოემ.)

ექიმი

ნ. ლ. ცურიაშვილი

იღებს საზებით, ქალისა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს ყოველ დღე, გარდა პარასკევისა, შუადღის 1—2 და საღ. 4—5 ს. ჩერქეზოვის ქუჩაზე № 22 ყოფილი სამუსიკო სასწავლებელი. ტელეფონი 14—13. (24—ოქტ.

დოქტორი მედიცინისა

ვ. პ. მოსეშვილი

დაბრუნდა თფილისში და განაახლა შინაგან ორგანოთა და ნერვების სნეულებით ავადმყოფების მიღება საღამოს 4—8 საათამდე. გიორგის ქუჩა, № 5, ალექსანდრეს ბაღთან ქაშვეთის ეკლესიის ახლოს. (30—ოქტ.)

ექიმი

ნ. პ. ფალიაშვილი

სახელმწიფო უნივერსიტეტის სანიტარო ინსტიტუტის ასისტენტი. ვაქცინოთერაპია, სეროთერაპია, აუტოვაქცინაცია. ხოლერის, ტიფის, ყვავის საწინაამდეგო ვაქცინის შეზხაპუნება... ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ბელინსკის ქუჩა, აგურის შესახვევი № 10 (22—ნოემ.)

დაბრუნდა და განაახლა მიღება

ექიმი

მ. ო. ზანდუკელი

შინაგან და ნერვების ავადმყოფ ელექტრონით წამლობა. ავადმყოფ. მიღება 5—7 საათ. ანასტასიის ქ. № 13. ტელეფ. 9—31. (21—ნოემ.)

ექიმი

გ. ი. ოქროპირიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდის. [illegible] ქ. № 22, [illegible]

კ. შ. ვართანოვი

სპეციალურად კანისა და ვენერიულ სნეულება (სიფილისი „606" და „914" შეზხაპუნება). მიიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. ქალები 2—3 ს. სურამის ქ. № 9, [illegible] ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ. (7 ნოემ.

ექიმი ა. დ. კეკელია

სპეციალურად: სიფილისი (შეზხაპუნება „606" და „914") ვენერიული და კანის სნეულებანი. ავადმყოფების მიღება: ყოველ დღე დილის 9—11 ს. და საღ. 5—7 ს. მისამართი: მიხეილის პრ. № 116, სასტუმრო „ნორ" პირდაპირ. ტელეფონი 14—28. 15 ნოემ.

სამკურნალო

ელექტრონის, რენტგენის და სინათლის

მიხეილ გედევანიშვილისა

დილით 12—2 საათ., საღ. 6—8 საათ. არის საწოლები. ყორღანოვის ქ. 20, ტელეფ. 7—91 (1—ნოემ.)

ექიმი

დავით ლუკას ძე

კილურაძე

შინაგან და ბავშვთა სნეულებანი. იღებს ავადმყოფებს დილის 8—9 საათამდე და საღამოს 5—7 ს. პლეხანოვის პრ. (მიხეილის) № 120. (15 ნოემ.)

ექიმი

ნ. ა. არუთინოვი

სპეციალურათ სიფილისი (606 და 914 ვენერიული (ტრიპერი), შარდის ორგანოების ოპერაციები ხელოვნური (საშარდე) მილის). ნოვო-ბებუთოვის ქ. № 5. სასახლის უკან, პეტრე დიდის ქ. ხევით. (პარალელურად). მიღება დილით 9—11 ს. საღ. 4 ნახ. 6 ნახ. საათამდე. 5—ნოე)

ექიმი

ა. ლევენშტეინი

შინაგანი და ნერვული ავადმყოფობანი (სპეც. ფილტვების, გულის და კუჭ-ნაწლავების ავადმ.) რენტგენის და ელექტრონული კაბინეტი, კოლოდეზნის [illegible] სახ. № 5, გოკიელოვისა, ბინა № 3, მიღება დილის 11—12 საათ. და საღ. 4—7 საათ. ტელეფონი 12—46. 7—ნოემ.

ექიმი

ე. ი. კალანდაძე

ღებულობს შინაგანი ავადმყოფობით დილის 8—12 საათამდე, ვენერიულს სიფილისით (შეზ. „606" და „914"), ბუშტის და საშარდის ავად. 5—7 საათ. საღამ. გუნიბის ქ. № 6, მოსკოვის ქ. დასაწყისი, ზუბალის აფთიაქთან ახლოს. ტელეფონი 18—95. (1—ნოემ.)

ექიმი

კ. ტყეშელაშვილი

ღებულობს ავადმყოფებს:

საშარდე და სასქესო ორგანოთა სნეულებანი. კანის, ვენერიულ და სიფილ. (914 და 606 შეზხაპუნება) საღამოობით 6—7 ½ საათ. მიხეილის საავადმყოფოსთან ბელგიის ქ. № 1 (16-ნოემ.)

არაჩვეულებრივი საზოგადო კრება

მომხმარებელ საზოგადოების

„თფილისის კოოპერატივის"

წევრებისა დანიშნულია კვირას, 1920 წ. 31 ოქტომბერს, დილის 10 საათ. თფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოების შენობაში (პუშკინის ქ. 3.) გასარჩევია შემდეგი კითხვები: 1) მოკლე ანგარიში საზოგადოების 5 წლის მოღვაწეობისა (1915—1920 წ.), 2) ფინანსიური ანგარიში 1920 წლის 9 თვისა, 3) საპაიო და შესასვლელი გადასახადის გადიდება, 4) გამგეობის წევრთა გასამრჯელოს გადიდება, 5) დამატებითი ხარჯთ აღრიცხვა 1920 წლ., 6) მიმდინარე კითხვები. იმ შემთხვევაში თუ კრება არ შესდგა წევრთა საკმაო რიცხვის გამოუცხადებლობის გამო, წესდების § 32 ძალით მეორე კრება ინიშნება იმავე დღეს, დილის 11 საათ. იმავე შენობაში და კანონიერად ჩაითვლება რამდენი წევრიც არ უნდა გამოცხადდეს. კრებაზე შესვლის დროს საჭირო იქნება საწევრო ბილეთის წარდგენა.

(3501 1—1)

გამგეობა.

„კოლოკოლი"

სააგენტო-საკომისიონერო კანტორა

მიხეილის პრ. 55.

ყიდულობს და ღებულობს საკომისიოთ გასაყიდათ ცალობით და ბითუმად ყოველგვარ

საქონელს

საკომისიოდ დატოვებულ საქონელზე იძლევა თანხას სესხის სახით. იღებს ყოველგვარ დავალებას სახლის, მამულის და სხვ. ყიდვა-გაყიდვის შესახებ. ასრულებს საბაჟოს ყოველგვარ ფორმალობას. მიღებული აქვს „კეროსინკები", ფეჩები: „ტიპ-ტოპი" აგრეთვე იქვე იყიდება მოწყობილება სადურქნო-გასტრონომიულ მაღაზიისა.

(3485 2—2)